ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



## ვისთვის გაიხსნა როკის გვირაბი?

გვ.3

15 დეკემბრიდან



რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ორშაბათი, 25 დეკემბერი, 2017 №305 (7540) ფასი: 50 თეთრი

# პოეტი ზვიად რატიანი პოლიციამ დააკავა და ცემა



გვ.2

„ყველაზე დაუნდობლად წინასწარი დაკავების იზოლატორში გავილახე... ახსენებდნენ ქურთუკს და მეუბნებოდნენ – ეს რა ფერია, რა გაცვია, ბიჭოო“

ნათია მეზვრიშვილი: „ზვიად რატიანი იყო ნასვამი, ვერ აკონტროლებდა ქცევასა და ლექსიკას, იქცეოდა აგრესიულად, შეურაცხყოფას აყენებდა სამართალდამცველებს“





მწერლები: „შსს ნუ გვაშანტაჟებს!“

## „გახარიამ აუცილებლად უნდა გაწმინდოს პოლიცია“

გვ.2

მიშა კაჭკაჭიშვილი: „შინაგან საქმეთა სამინისტროში კვლავ რჩებიან მერაბიშვილის კადრები“



## დაუყადაღებს თუ არა აშშ ივანიშვილს ანგარიშებს

ბეჟან ნათელაშვილი: „ძალიან მალე ვადამდელი არჩევნები დაინიშნება“



კონგრესმენი სტივ რასელი საქართველოს მთავრობას სანქციებით ემუქრება

გვ.3



### სამართალი

გვ.7

## „უცნობის“ სიძის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო

სად გაქრა ლილოში მდებარე 3 შენობა?



## კონტრაბანდის გამო უკრაინაში აჭარის ყოფილი შს მინისტრი დავით ღლონტი დააკავეს

გვ.3





## „1 მილიონი ლარი მოტეხილია“

დავით ოქიტაშვილი სკანდალში ეხვევა

გვ.7

### ეკონომიკა

გვ.6



## ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა დაიწყო



## დავით როგავა: „ერთდღიანი შპს-ები არ უნდა გვქონდეს“

## მართვის მოწმობის გამოცვლის ვადამ 2018 წლის პირველ აპრილამდე გადაიწია



## „პეფესტო“ – ქართველი არქიტექტორის შემოქმედებითი სტარტაპი

ISSN 1987-9385

10 რამაზ საყვარელიძე: „მარგველაშვილი პარლამენტში უფრო ნაყოფიერი იქნებოდა“

4 მამუკა გამყრელიძე: „რუსეთი სამხრეთ კავკასიაში ომისთვის ემზადება“

5 ანზორ აბრალავა: „არაჯანსაღი ვითარება ქვეყანაში მიზანმიმართულად იქმნება“

7 სტამბოლში დავით ალხანაშვილი, იგივე „დათო პანკისკი“ მოკლეს

კვალი ზაქრო კალაშოვისკენ მიდის

# პოეტი ზვიად რატიანი პოლიციამ დააკავა და ცემა

23 დეკემბერს პოეტი ზვიად რატიანი პოლიციამ დააკავა და ცემა.

პირველად ინფორმაცია ჟურნალმა „ლიბერალმა“ გაავრცელა, შემდეგ კი პოეტის მეგობარმა, პოეტმა შოთა იათაშვილმა ფეისბუქში დაწერა:

„ჩემთან იყო გუშინ. იკიც ამოვიდა ცოტა ხანი, მერე გიო ძამუკაშვილი და მაგის ბიჭი ამოვიდნენ ორი გიტარით და უკრავდნენ და მღეროდნენ. და რითი დამთავრებულა? ტანსაცმელზე აუხირდნენო, ეგეთი ხმა გამოდის, ბიჭო, წითელი კურტკა რატომ გაცვიაო. მეც წითელი კურტკა მაქვს, ისე. წინა დღეს ვხალისობდით მაგაზე.“

24 დეკემბერს ზვიად რატიანი ხელწერილით გაათავისუფლეს.

– ყველაზე დაუნდობლად წინასწარი დაკავების იზოლატორში გავილახე, – განაცხადა ზვიად რატიანმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

რატიანი ყვება, რომ სამართალდამცველებმა მისი დაკავების შემდეგ დიღმის მასივში მთავარ სამმართველოში მიიყვანეს, სადაც იქ ფიზიკურად გაუსწორდნენ.

– თვითონ ამბავი ძნელი მოსაყოლია, რადგანაც ჩემთვის არანაირი ლოგიკა არ დევს ამ ამბავში. როგორც დღეს გავიგე, საპოლიციო კონტროლი ყოფილა და მეც გადამამოწმეს. თუმცა, იყვნენ აგრესიულები, მესაუბრებოდნენ ცუდად, ჩამტენეს მანქანაში. სულელურად კი ჟღერს, მაგრამ ახსენებდნენ ქურთუკს და მეუბნებოდნენ – ეს რა ფერია, რა გაცვია, ბიჭოო.

რამდენიმე საათი გაგრძელდა ჩემი მანქანით ტარება აქეთ-იქით. მირტყამდნენ განუწყვეტლივ. წამიყვანეს განყოფილებაში. იქ გააფორმეს, რომ მე თურმე მქონდა დაზიანებები და ქუჩაში ვიყავი ამ დაზიანებებით და ვიგინებოდი. ყველაზე დაუნდობლად აქ გავილახე. სადღაც ათზე მეტი დაზიანება დააფიქსირა ექიმმა, – აღნიშნა ზვიად რატიანმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო პოეტ ზვიად რატიანთან დაკავშირებით განმარტავს, რომ წინასწარი მოკვლევით ერთ-ერთი პოლიციელის შესაძლო სამსახურებრივი გადაცდომა იკვეთება.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია სწავლობს აღნიშნულ ფაქტს. პირველადი შესწავლის შედეგად იკვეთება ორივე მხარის პასუხისმგებლობა. ამავე დროს, წინასწარი მოკვლევით იკვეთება ერთ-ერთი



**„ყველაზე დაუნდობლად წინასწარი დაკავების იზოლატორში გავილახე... ახსენებდნენ ქურთუკს და მეუბნებოდნენ – ეს რა ფერია, რა გაცვია, ბიჭოო“**

პოლიციელის შესაძლო სამსახურებრივი გადაცდომა. შინაგან საქმეთა სამინისტრო ფაქტის საბოლოო გამოძიებამდე უფლებამოსილებას შეუჩერებს ზემოაღნიშნულ პოლიციელს. რაც შეეხება მოქალაქე ზ.რ.-ს, იგი ამჟამად გათავისუფლებულია დროებითი მოთავსების იზოლატორიდან. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება. ჩვენი მიზანია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით. შესაბამისად, სამინისტროს გენერალური ინსპექცია გადაცდომის თითოეულ ფაქტზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სამართლებრივ რეაგირებას მომავალშიც მოახდენს, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

შს სამინისტროს განცხადებას მალევე მოჰყვა მწერლებისა და ხელოვანების საგანგებო ბრიფინგი.

ბრიფინგზე ლაშა ბუღაძემ თქვა, რომ ისინი მოუწოდებენ ხელისუფლებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, ნუ აშანტაჟებენ საზოგადოებასა და ზვიად რატიანს და მოუწოდებენ მთავრობას, გამოავლინონ მკაფიო და არა – ფარისევლური რეაქცია პოლიციელების მხრიდან რატიანის ცემის ფაქტთან დაკავშირებით.

– ადამიანი უმოწყალოდ არის ნაცემი. მას მძიმე ფორმის ტვინის შერყევა აქვს და კიდევ ლაპარაკობენ იმაზე, რომ ის თურმე იგინებოდა. პოლიციის ფუნქცია არ არის იმის გაკონტროლება, რა გვაცვია. ჩვენ არ გვყავს ზნეობრივი პოლიცია, – აღნიშნა გიორგი ლობჟანიძემ.



## ნათია მეზვრიშვილი: „ზვიად რატიანი იყო ნასვამი, ვერ აკონტროლებდა ქცევასა და ლექსიკას, იქცეოდა აგრესიულად, შეურაცხყოფას აყენებდა სამართალდამცველებს“



## მწერლები: „შსს ნუ გვაშანტაჟებს!“

მწერლები იმ ვიდეომასალის გასაჯაროებასაც ითხოვენ, რომელიც, მათი მტკიცებით, ზვიად რატიანის ცემის ფაქტებს ასახავს.

❖ ❖ ❖

მოგვიანებით განმარტება გაკეთა შს მინისტრის მოადგილემ, უწყების საპარლამენტო მდივანმა ნათია მეზვრიშვილმა, რომელმაც ასევე საგანგებო ბრიფინგი გამართა.

ბრიფინგზე მეზვრიშვილმა შემდეგი განაცხადა:

– მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს მოქალაქე ზვიად რატიანთან დაკავშირებით საზოგადოებას დამატებითი ინფორმაცია მივაწოდოთ.

მოქალაქე ზვიად რატიანი ჟურნალისტებთან მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ მასთან მივიდა რამდენიმე პირი სამოქალაქო ფორმაში. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ სამართალდამცველები იყვნენ პოლიციის ფორმაში ჩაცმულები და მათ ზვიად რატიანი საპოლიციო კონტროლის ფარგლებში შეაჩერეს.

მასალიდან ასევე ჩანს, რომ ზვიად რატიანი იყო ნასვამ მდგომარეობაში, ვერ აკონტროლებდა ქცევასა და ლექსიკას, იქცეოდა აგრესიულად, წინააღმდეგობას უწევდა და შეურაცხყოფას აყენებდა სამართალდამცველებს, რითაც მათ არ აძლევდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს აღნიშნული ფაქტების ამსახველი ვიდეო-მასალა, მაგრამ ამ დროისთვის არ მიიჩნევს სწორად, საჯაროდ გამოიტანოს უცენზურო გამონათქვამებით აღსავსე ჩანაწერი. თუმცა, აღნიშნული მასალა, მტკიცებულების სახით, წარედგინება სასამართლოს. სურვილის შემთხვევაში, ზვიად რატიანსაც შეუძლია გაეცნოს, რათა მან ზუსტად აღიდგინოს მომხდარი.

ვიდეომასალაში აღბეჭდილ ფაქტთან დაკავშირებით ზვიად რატიანის მიმართ შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) და 166-ე (ხულიგნობა) მუხლებით.

მიუხედავად ამისა, სამართალდამცავების მიმართ ზვიად რატიანის მიერ წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით მთავარმა პროკურატურამ უკვე დაიწყო გამოძიება და ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია აწარმოებს მოკვლევას. ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტრო იმოქმედებს კანონის ფარგლებში, როგორც მოქალაქის მხრიდან სამართალდარღვევის, ისე პოლიციელთა მხრიდან შესაძლო უფლებამოსილების გადამეტების ფაქტთან დაკავშირებით.

❖ ❖ ❖

ზვიად რატიანის საქმეზე სასამართლო პროცესი, სავარაუდოდ, დღეს გაიმართება.

# „გახარიამ აუცილებლად უნდა გაწმინდოს პოლიცია“

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყნის მასშტაბით საპოლიციო კონტროლის პირველმა ეტაპმა დიდი წივილ-კივილის ფონზე ჩაიარა. უფლებადამცველების ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიციამ ადამიანის უფლებები დაარღვია და ეს უწყება ნელ-ნელა ბრუნდება ვანო მერაბიშვილის დროში. ამ მოსაზრებას არ იზიარებს უფლებადამცველი მიშა კაჭკაჭიშვილი. „ახალ თაობასთან“ საუბარში ის ამბობს, რომ საპოლიციო კონტროლი ცოტა ადრე უნდა დაწყებულიყო.

უფლებადამცველის აზრით, კარგი იქნებოდა, თუ მინისტრი გახარია ჯერ გაწმენდდა შსს-ს და საპოლიციო კონტროლს ამის შემდეგ დაიწყებდა. რა პრობლემების შექმნა შეუძლიათ მერაბიშვილის კადრებს და რატომ უნდა იყოს შსს-ს მუშაობა გამჭვირვალე? – ამის შესახებ მიშა კაჭკაჭიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– უფლებადამცველების ნაწილი ქვეყნის მასშტაბით საპოლიციო კონტროლს უარყოფითად აფასებს. ამბობენ, რომ პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა უფლებამოსილების გადაჭარბებას. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

– გახარიას გადაწყვეტილება ქვეყნის მასშტაბით საპოლიციო კონტროლის განხორციელებაზე დროული იყო, თუ დაგვიანებული არა. მე ასეთ კონტროლს მივესალმები. უბრალოდ, არ შეიძლება, ერთი ხელით კარგი კეთდებოდეს და მეორით – ცუდი.

## მიშა კაჭკაჭიშვილი: „შინაგან საქმეთა სამინისტროში კვლავ რჩებიან მერაბიშვილის კადრები“

საპოლიციო კონტროლის მიმდინარეობისას რამდენიმე უსიამოვნო ფაქტი მოხდა. ამაზე ხალხი აღშფოთებულია. არადა, საზოგადოებამ ამ რეიდებს დადებითად უნდა შეხედოს. ჩვენთან თავიდანვე უარყოფითი განწყობა წამოვიდა ამ კონტროლის გამო. ამის მიზეზი, პირველ რიგში, ის გახლავთ, რომ საზოგადოებას პოლიციის მიმართ ნდობა არ აქვს.

იმისათვის, რომ ხალხს პოლიციის მიმართ ნდობა დაუბრუნდეს, შსს-ს მუშაობა გამჭვირვალე უნდა გახდეს. ამისთვის მხოლოდ შუშის შენობები საკმარისი არ არის. საზოგადოებამ ის უნდა იცოდეს, შიგნით რა ხდება.

საპოლიციო კონტროლი და რეიდები აუცილებელია, მაგრამ ეს პროცესი მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს, რათა რაიმე სახის გადაცდომებს ადგილი არ ჰქონდეს.

გიორგი გახარიას ადგილზე მე შინაგან საქმეთა სამინისტროს გაწმენდაზე ვიფიქრებდი და მერე ჩავატარებდი ამ რეიდებს.

***– ამ ორი საქმის გაკეთება ერთდროულად შეიძლება? შსს-ს გაწმენდის პროცესი, შესაძლოა, უსასრულოდ გაგრძელდეს.***

– როგორ არ შეიძლება. ერთი მეორეს ხელს არ შეუშლის. კი ბატონო, ჩაატაროს რეიდები, მაგრამ ამის პარალელურად გაწმინდოს უწყება ძველი გადმონაშთებისგან. შსს-ში არიან პოლიციელები, რომლებიც მოქალაქეებს სცემენ, აგინებენ და არც ნარკოტიკების ჩადებას ერიდებიან.



კიდევ ერთხელ ვამბობ, ასეთ რეიდებს მივესალმები, მაგრამ, თუ გადაცდომებს ისევ ექნება ადგილი, ამას აუცილებლად ექნება სათანადო რეაგირება.

***– შსს უნდა გაწმინდოს გახარიამო, თქვით. თქვენი აზრით, ამ ძველი კადრების მხრიდან შეიძლება საბოტაჟს ჰქონდეს ადგილი?***

– უწყება მართლა გასაწმენდია. სახელებითა და გვარებით შემიძლია იმ ადამიანების დასახელება, რომლებიც ნაციონალების რეჟიმს ემსახურებოდნენ. ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის კადრები თითქმის ყველა განყოფილებასა და დეპარტამენტში არიან.

ეს ადამიანები ძველ დროს მისტირიან, ვანო მერაბიშვილის სადღეგრძელოსაც სვამენ და ელოდებიან, როდის დაბრუნდებიან ნაციონალები ხელისუფლებაში.

რაც შეეხება საბოტაჟს, მათგან არც ესაა გამორიცხული, მაგრამ შეთქმულების თეორიები არ მიყვარს და ამიტომ ამ თემას არ განვავრცობ. ისე კი, გამორიცხული არ არის, ვიღაცა გახარიასთვის საქმის გაფუჭებით იყოს დაინტერესებული. ჩვენთან შს მინისტრები დეკადების მიხედვით იცვლებიან.

ზოგი რეფორმას იწყებს და მის დამთავრებას ვეღარ ახერხებს.

გიორგი მღებრიშვილი იყო უუნარო მინისტრი და ყველა უბედურება მისი მინისტრობის დროს ხდებოდა, თუმცა იმ პერიოდს ვერაფრით შევადარებ მერაბიშვილის მინისტრობას. მაშინ პირდაპირ სასაკლაოდ იყო ქვეყანა ქცეული.

პოლიციელების მხრიდან გადაცდომებს მღებრიშვილის დროსაც ჰქონდა ადგილი. ვნახეთ, რომ ადამიანებს ნარკოტიკებს უდებდნენ, უხეშობდნენ, არ იძიებდნენ საქმეებს. მათი უხეშობის შედეგად დაიღუპა ახალგაზრდა კაცი, ნუცუბიძის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედია მაქვს მხედველობაში.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დაუყადაღებს თუ არა აშშ ივანიშვილს ანგარიშებს

შორენა მარსაგიშვილი

ამერიკელი კონგრესმენები საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას ითხოვენ. ამ მოთხოვნით კონგრესმენი სტივ რასელი გასულ წელსაც გამოვიდა. ის ბიძინა ივანიშვილის ანგარიშების დაყადაღებას ითხოვდა.

მაშინ კონგრესმენი მხოლოდ სიტყვიერი განცხადებით შემოიფარგლა, ახლა კი ამასთან დაკავშირებით კანონპროექტი მოამზადა. სტივ რასელის მიერ მომზადებული რეზოლუცია აშშ-ის კონგრესის ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

კონგრესმენი პრეზიდენტ ტრამპს რამდენიმე სანქციის დაწესებას სთხოვს. საუბარია ქართველი მინისტრებისთვის ვიზების გაუქმებაზე, აშშ-ში შესვლის აკრძალვასა და საბანკო ანგარიშების გაყინვაზე.

პრეზიდენტ ტრამპის თანხმობას საქართველოს ხელისუფლების მიმართ რადიკალური სანქციების ამოქმედების შესახებ კონგრესმენი კონკრეტული მიზეზებით მოითხოვს – ამერიკული კომპანიების შევიწროება, სასამართლო დავები და დროებითი მმართველების დანიშვნა.

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ცნობით, რადიკალური ზომების მიღება საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ შეერთებული შტატების კონგრესის დღის წესრიგში 3 კონკრეტული შემთხვევის გამო დადგა.

2017 წლის მაისში ქვეყნის უმსხვილეს მეტალურგიულ კომპანია „ჯორჯიან მანგანეზში" მთავრობამ სპეციალური მმართველი დანიშნა.

მეორე შემთხვევა კომპანია „ფილიპ მორისსა" და მასთან დაკავშირებულ სასამართლო დავებს ეხება. „ფილიპ მორისიც", „ჯორჯიან მანგანეზის" მსგავსად, ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესის სასარგებლოდ, ქართული სასამართლოს ხელით დამარცხდა.

მესამე ქეისი კი გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კომპანია „ფრონტერას" უკავშირდება. კომპანიამ საქართველოში გაზის აღმოჩენის შესახებ საკმაოდ ხმამაღალი განცხადება გააკეთა და ამ მიმართულებით მუშაობაც დაიწყო, თუმცა კახა კალაძის მინისტრობის პერიოდში ამერიკული კომპანიის ხელმძღვანელობა ხელისუფლებამ ტყუილში დაადანაშაულა და საქმიანობის გაგრძელების უფლება არ მისცა.

გასულ წელს კონგრესმენ სტივ რასელს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი შეხვდა. სწორედ ნათელაშვილმა ჩამოიტანა ამბავი იმის შესახებ, რომ რასელი ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას ითხოვდა.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი წელსაც იყო შეერთებულ შტატებში, სადაც სენატორებსა და კონგრესმენებს შეხვდა. იქიდან დაბრუნებულმა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები საქართველოსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას აპირებდა.

ლეიბორისტული პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი ვერ აკონკრეტებს, რომ მისი პარტიის ლიდერს რასელის მიერ კანონპროექტის მომზადება ჰქონდა მხედველობაში. სამაგიეროდ, დარწმუნებულია იმაში, რომ სანქციების დაწესების შემთხვევაში „ქართული ოცნება" პოლიტიკურ მოუსავლეთში წავა.

შეძლებს თუ არა „ოცნება" აშშ-ის კეთილგანწყობის მოპოვებას, რა შეიცვლება პოლიტიკურ ველზე, რა პოლიტიკური წონა და გავლენები აქვს კონგრესმენ რასელს? – ამის შესახებ ბეჟან ნათელაშვილი „ახალ თაობას" ესაუბრება.




**ბეჟან ნათელაშვილი:**

– ამერიკა არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა ხდება საქართველოში. კანონპროექტი, რომელიც სტივ რასელმა მოამზადა, გამოძახილია იმისა, რასაც ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება აშავებს. ამ ყველაფრის სათავეში ქვეყნის არაფორმალური მმართველი ბიძინა ივანიშვილი დგას.

ის ვითარება, რომელიც დღეს საქართველოშია შექმნილი, არა მხოლოდ რეგიონს, არამედ მსოფლიოსაც კი უქმნის საფრთხეს.

***– პატარა საქართველომ როგორ შეიძლება, მსოფლიოს საფრთხე შეუქმნას?***

– შეუძლია, ძალიან კარგად შეუძლია. მმართველობის ის სტილი, რომელიც დღეს საქართველოშია, შესაძლოა, სხვა ქვეყნებმაც გადაიღონ. ეს არაფორმალური მმართველობა, თავის მხრივ, ძალიან საშიშია. ყველამ საკუთარ ტყავზე ვიწვნიეთ, თუ რა დაემართა ისედაც არარსებულ ეკონომიკას.

ოლიგარქიული მმართველობა კლანებისა და მაფიოზების თარეშს ნიშნავს. ამ თარეშის შედეგად ხალხი და ქვეყანა იძარცვება. ჩამოშლილია სახელმწიფო ინსტიტუტები. ყველა სხვა „სიკეთესთან" ერთად, სახეზე გვაქვს საბანკო დიქტატურაც.

ასეთი მმართველობა შესაძლოა სხვა ქვეყნებში დაბუდებულმა ოლიგარქებმა მოისურვონ. ამიტომაც გააქტიურდა ჩვენი მეგობარი აშშ. ვაშინგტონმა განგაშის ზარს უკვე შემოჰკრა. სტივ რასელის მიერ მომზადებული პროექტი აუცილებლად ჰპოვებს გაგრძელებას და ეს ყველაფერი ლოგიკურ დასასრულამდე მივა.

***–სტივ რასელმა შარშანაც მოითხოვა მსგავსი რამ, მაგრამ მისი განცხადება განცხადებად დარჩა.***

– გასულ წელს მან მხოლოდ სიტყვიერი განცხადება გააკეთა, ახლა კი რეზოლუცია აქვს მიღებული. კარგი იქნებოდა, ეს რეზოლუცია შარშან მომზადებულიყო. ჩვენი ჩინოსნები ცოტა მაინც შეშინდებოდნენ. აშშ-ში რასელის განცხადებისთვის თავის დროზე რომ მიექციათ ყურადღება, ახლა საქართველო ასეთ მძიმე დღეში აღარ იქნებოდა.

***– თქვენი აზრით, გამოუჩნდებიან ახლა რასელს მხარდამჭერები?***

– რა თქმა უნდა, გამოუჩნდებიან. სტივ რასელი ძალიან გავლენიანი კონგრესმენი გახლავთ. ის მთელ ამერიკაში ანგარიშგასაწევ ფიგურად ითვლება. სტივ რასელის სახელს უკავშირდება წლების წინ სადამ ჰუსეინის სასახლის აღება. მან ჩაატარა ეს წარმატებული ოპერაცია. მას არაფრის ეშინია და არავისი ერიდება, დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

დიდი იმედი მაქვს, რომ აქ ოლიგარქიული მმართველობის დასასრულებლად სპეცოპერაციის ჩატარება არ გახდება საჭირო. დამერწმუნეთ, როგორც კი არაფორმალურ მმართველს დაემუქრება ფინანსური სანქციების საფრთხე, ის დაუყოვნებლივ ჩამოსცილდება ქართულ პოლიტიკას.

***– ბიძინა ივანიშვილი წლებია ამბობს, რომ ის პოლიტიკას ჩამოსცილდა. ერთ წელზე მეტია, მისგან სიტყვაც კი არ გაგვიგია.***

– დუმილი იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკას ჩამოშორდა. პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის ამბავი საბავშვო ბაღის აღსაზრდელებსაც არ სჯერათ.

***– სჯერათ თუ არ სჯერათ, ეს სხვა ამბავია. ფაქტი ის არის, რომ ივანიშვილი ოფიციალურად წასულია პოლიტიკიდან. სტივ რასელი დაამტკიცებს, რომ ივანიშვილი მართავს ქვეყანას?***

– სტივ რასელს არაფრის დამტკიცება არ სჭირდება. „ქართული ოცნების" განცხადებებით ყველაფერი ნათლად იკვეთება. მმართველი გუნდის წევრები, ერთი მხრივ, ამბობენ: დიახ, ბატონი ბიძინა ჩამოცილებულია პოლიტიკას, ხოლო მეორე მხრივ ყოველ წუთს დარბიან მასთან მთელი რიგი საკითხების შესათანხმებლად. ივანიშვილს ნებისმიერ წვრილმანსაც კი უთანხმებენ. ამათი სირბილით სოლოლაკის აღმართი გაცვდა და დაიღალა.

***– ივანიშვილი არ დაიღალა „ოცნების" წევრებთან საკითხების შეთანხმებით?***

– რა დაღლიდა? მისთვის მნიშვნელოვან საკითხებს უთანხმებენ. ამის შედეგად მთელი საქართველო ივანიშვილმა ჯიბეში ჩაიდო. თბილისის ცენტრიდან დაწყებული, ბათუმის ბოტანიკური ბაღით დამთავრებული, ყველაფერი მან შემოღობა. ხეების აქეთ-იქით გადატანაც ბიუჯეტს აწევს კისერზე და ამაშიც კი არ ხარჯავს ფულს. ამათ ხელში მთელი საქართველო დახლზეა დადებული და იყიდება.

ამას ხედავს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიც. სტივ რასელის მიერ მომზადებული რეზოლუციით თუ ვიმსჯელებთ, ვაშინგტონისთვის ეს ამბავი სულ ერთი არ არის.



## ბეჟან ნათელაშვილი: „ძალიან მალე ვადამდელი არჩევნები დაინიშნება"

ოლიგარქსა და მის გარემოცვას უნდა სცოდნოდათ, რომ მათ თავზეხელაღებულობას ადეკვატური პასუხი მოჰყვებოდა. დარწმუნებული ვარ, ამერიკა რადიკალურ ზომებს მიიღებს.

***– სანამ ამერიკა სტივ რასელის რეზოლუციაზე გადაწყვეტილებას მიიღებს, რჩევას საქართველოში აშშ-ის ელჩსაც ჰკითხავენ. იან კელი საქართველოს მთავრობის მიმართ საკმაოდ პოზიტიურად არის განწყობილი.***

– პოზიტიურად კი არ არის განწყობილი, არამედ სამარცხვინოდ იქცევა. ის „ქართული ოცნების" აქტივისტს დაემსგავსა და ამ უმსგავსო ხელისუფლებას ყველაფერს „უპრავებს".

გავლენის თვალსაზრისით თუ შევადარებთ, სად რასელი და სად კელი. კონგრესმენს ბევრად მეტი გავლენები აქვს.

მეოცნებეებმა ძალიან ბევრი ფული დახარჯეს იმაში, რომ ლობისტები ეპოვათ. ლობისტები კი იპოვეს, მაგრამ ისეთ სამარცხვინო რაღაცებს აკეთებენ, არავინ მოისურვა ამერიკაში მათი „გაპრავება".

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ესენი სანქციების დაწესებას ვერ გადაურჩებიან. როგორც კი ეს თემა გასერიოზულდება, ივანიშვილი მართლა ჩამოშორდება პოლიტიკას და ქვეყნიდანაც წავა.

ივანიშვილის გარეშე დარჩენილი „ქართული ოცნება" წამებში წავა პოლიტიკურ მოუსავლეთში. საქართველოში აუცილებლად დაინიშნება ვადამდელი არჩევნები. ამათ დიდი დღე მაინც არ უწერიათ და ჯობია, თავად დანიშნონ ეს არჩევნები. ასე სახეს მაინც შეინარჩუნებენ.

# ვისთვის გაიხსნა როკის გვირაბი?

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია რუსეთსა და საქართველოს შორის ახლახან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე საუბრობს და აცხადებს, რომ სავაჭრო ტვირთების გატანა რუსეთში ცხინვალის რეგიონის გავლით საქართველოდან იქნება შესაძლებელი.

***– ბატონო ვახტანგ, როგორც ირკვევა, საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება გაფორმდა მესამე მხარის, შვეიცარიული კომპანიის ჩართულობით. ეს ხელშეკრულება ხომ არ არის გამომდინარე იმ ხელშეკრულებიდან, რომელსაც ხელი მოაწერა ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ 2011 წელს და ლარსის გამშვები პუნქტის მეშვეობით რუსეთს უფლება მიეცა, თავისი ტვირთები გადაეზიდა სომხეთის მიმართულებით?***

– არა, ლარსთან დაკავშირებული ხელშეკრულება სხვაა. ამ ხელშეკრულებას მაშინ ხელი არ მოეწერა. რუსულმა მხარემ მაშინ თავი შეიკავა, მაგრამ იმის გამო, რომ მოლაპარაკებები დაიწყო და მხარეებმა რაღაც ფორმულას მიაგნეს, რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შეუშვეს. 1995 წლამდე ამ ორგანიზაციას ეხებოდა ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ მოლაპარაკებები.

***– ახალი ხელშეკრულებაა?***

– ფაქტობრივად, ეს არის 2011 წელს მომზადებული ხელშეკრულება. ქართული და შვეიცარიული მხარეებიც მზად იყვნენ, როგორც მე ვიცი, საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლებიც არ ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ რუსულმა მხარემ თავი შეიკავა. ერთ პერიოდში მოლაპარაკებები ჯანჯლდებოდა. როგორც ჩანს, ახლა რუსეთი დათანხმდა და ხელი მოაწერა.

***– შეთანხმების საგანი რა არის, ვიცით?***

– ეს არის რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით სავაჭრო ტვირთების მოძრაობის დარეგულირება, რომელიც უნდა გამოტარდეს კონფლიქტურ კერებში, სადაც არ ვრცელდებოდა საქართველოს იურისდიქცია. ლარსიდან, ცხინვალიდან და აფხაზეთიდან შემოდის ტვირთები.

***– საინტერესოა, რა ფორმულა მოიძებნა კონფლიქტური კერების გამოვლით რუსეთის ტვირთის საქართველოდან სომხეთში გადასაადგილებლად?***

– შვეიცარიული კომპანიის წარმომადგენლების ერთი ნაწილი დადგება გორის რაიონში, მეორე – როკის გვირაბის რუსეთის მონაკვეთზე, რუსეთის ტერიტორიაზე. მათ ექნებათ ვალდებულება, ნახონ, რა ტვირთებმა გამოიარა რუსეთიდან, რა ტვირთები შემოდის საქართველოში,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# კონტრაბანდის გამო უკრაინაში აჭარის ყოფილი შს მინისტრი დავით ღლონტი დააკავეს



უკრაინის საზღვარზე კონტრაბანდული სიგარეტის გადამტანი პირი აჭარის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი დავით ღლონტია. იგი უკრაინაში საქართველოს ვიცე-კონსულ ეკა პატარაძის მეუღლეა და ამის გამო ჰქონდა მას დიპლომატიური პასპორტი.

დავით ღლონტი მინისტრის თანამდებობას წინა ხელისუფლების დროს იკავებდა. იგი თანამდებობიდან 2004 წლის სექტემბერში გადააყენეს. ეკა პატარაძე საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკრაინიდან უკვე გამოიწვია. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით უკრაინის სამართალდამცავებმა სპეციალური ვიდეოც გაავრცელეს.

# „გახარიამ აუცილებლად უნდა გაწმინდოს პოლიცია"

დასაწყისი მე-2 გვერდზე

არ მინდა, ახლაც იგივე გამეორდეს. ეს რომ არ მოხდეს, გახარიამ უწყება უნდა გაწმინდოს და გახსნას. პოლიციაზე კონტროლი აუცილებელია. გითხარით კიდევაც, რომ პოლიციის მიმართ საზოგადოებას ნდობა არ აქვს.

ნორმალურ ქვეყანაში პოლიციელში მაშველს ხედავენ. ჩვენთან პოლიციელი რაღაც ჯალათთან ასოცირდება. თავის დროზე ხალხი ძალიან კარგად შეხვდა პატრულის ინსტიტუტს, მაგრამ მერე მის მიმართაც გაქრა ნდობა.

ეს ნდობა თუ არ დაბრუნდა, არაფერი გამოვა. ნდობის დასაბრუნებლად კი გამჭვირვალობაა საჭირო. პოლიცია გამუდმებით უნდა ვაკონტროლოთ, თორემ იმავეს მივიღებთ, რაც ვანო მერაბიშვილის დროს იყო.

საკმაოდ მძიმე ვითარებაა ქვეყანაში და, კარგი იქნება, თუ, ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსად, ცივი იარაღის გაყიდვაც აიკრძალება. დღეს მოზარდებს ბაზრობებზე 10 ლარად თავისუფლად შეუძლიათ დანის ყიდვა. იყიდიან ამ დანას და მერე რას გააკეთებენ, არავინ იცის.

***– საპოლიციო კონტროლი გამოიღებს შედეგს? თავის დროზე ირაკლი ღარიბაშვილმაც დაიწყო რეიდები, მაგრამ...***

– ირაკლი ღარიბაშვილს მძიმე ვითარებაში მოუწია შს მინისტრად მუშაობა. ხელისუფლება ახალი შეცვლილი იყო. უწყებებში მრავლად იყვნენ ნაციონალები. მაშინ მათი მხრიდან მართლა ჰქონდა ადგილი საბოტაჟს. ახლა გახარია შსს-ს თუ გაწმენდს და პოლიციაზე საზოგადოება კონტროლს განახორციელებს, შედეგი აუცილებლად იქნება.

# „რუსეთი სამხრეთ კავკასიაში ომისთვის ემზადება“

ნონა ცაბაძე

## მამუკა გამყრელიძე: „ცხინვალის გზის გახსნა საქართველოსთვის დამღუპველი იქნება“

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი ელჩი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, ბოლო დღეებია გვესმის შეფასებები, რომ „ოცნების“ მომხრეები ნაციონალური მოძრაობის წევრების მიმართ ღია ანგარიშსწორებაზე გადავიდნენ. რა ხდება? როგორია თქვენი შეფასებები ბოლო დღეებში მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით?***

– ეს არ არის ახალი. ეს ადრეც მომხდარა. გავიხსენოთ ჩიორა თაქთაქიშვილი, როდესაც მას ხელი დაარტყეს. მანამდე უგულავას დაარტყეს, მერე ჭიაბერაშვილს სცემეს. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ეს არის გამოძახილი იმ დამოკიდებულებისა ნაციონალური მოძრაობის მიმართ, რომელიც არსებობს საზოგადოების რაღაც გარკვეულ ნაწილში. რატომ და როგორ, ეს მეორე საკითხია, მაგრამ ის, რომ ნაციონალური მოძრაობის მიმართ არსებობს რაღაც საშინელი ზიზღი, ფაქტია. საზოგადოება რადიკალურად გაყოფილია. ერთნი ძალიან მოწინააღმდეგეები არიან ნაციონალური მოძრაობისა და ზიზღის დონემდე მიდის, მეორე მხარეს კი იგივე ზიზღია „ქართული ოცნების“ მხარეს. ჩვენი საზოგადოება ძალიან რადიკალიზებულია და ორადაა გაყოფილი. ასეთ პირობებში მთავრობას უნდა ჰქონდეს იმდენი შეგნება, რომ თავი შეიკავოს ისეთი იდიოტური გამოხდომებისგან, როგორიც იყო გინება და ასე შემდეგ.

***– თავად შეეხეთ ამ თემას და როგორ აფასებთ, რა შეცდომა დაუშვა კვირიკაშვილმა, პროვოკაციას წამოეგო?***

– ნამდვილად არ ვარ დარწმუნებული, რომ პროვოკაციას წამოეგო. თუ ეს პროვოკაცია არ იყო, მაშინ ეს იყო წინასწარ განზრახული ქმედება. იმდენად ქაოსური სიტუაციაა, რომ არ ვიცი, რა ვთქვა.

***– თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?***

– ზოგადად არ ახასიათებს ამ ადამიანს ასეთი აფექტური საქციელი და ის კითხვები, რომლებიც დაისვა, იყო ძალიან მძაფრი, ძალიან მწვავე და მათზე ხელისუფლებას პასუხები არ გააჩნია. ეს პასუხები რადგან არ იყო, ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ კვირიკაშვილი იძულებული გახდა, ასეთი რამ გაეკეთებინა. არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ნიკა მელია ცდილობდა მის მდგომარეობიდან გამოყვანას. ეს მისი საქმეა. ის ოპოზიციონერია და შეეცდება, ხელისუფლება



გამოიყვანოს მდგომარეობიდან. ქვეყნის პირველი პირი რომ ხარ, ასე მარტივად არ უნდა გამოხვიდე მდგომარეობიდან. აქ მთავარი რა არის, იცით?!

***– რა?***

– ის, რომ ხელისუფლებას უნდა ეყოს ჭკუა, ეს სიტუაცია დააწყნაროს. არ უნდა მოხდეს სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვა. თუნდაც ის, რაც იმ ულირსმა ადამიანმა ჩაიდინა, კულტურის სფეროში რომ მოღვაწეობს.

***– დავით ოქიტაშვილსა და „იბერიაში“ მომხდარ ინციდენტს გულისხმობთ?***

– დიახ, სწორედ ეს იყო გამოძახილი. ამას შეიძლება მოჰყვეს კიდევ შემდგომი გაგრძელებები და ეს არ შეიძლება. ასევე ძალიან არასწორი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლა.

***– რასთან დაკავშირებით?***

– რომ ჩვენ არ უნდა ვრეაგირებდეთ ნაციონალური მოძრაობის გამოსვლებზე. რას ჰქვია, არ უნდა ვრეაგირებდეთ?! უნდა რეაგირებდნენ ყველაფერზე. მოსახლეობის წაქეზება ხდება, გამოყოფა ხდება, რომ ისინი არიან ცუდები, რომ ნაციონალურ მოძრაობას ხმა არ უნდა ჰქონდეს ამოსაღები. სხვათა შორის, ნაციონალურ მოძრაობაში არიან ადამიანები, რომლებიც მას მერე მივიდნენ იქ, რაც ნაციონალური მოძრაობა აღარ იყო ხელისუფლებაში.

***– ანუ ყველას ერთ ქვაბში ხარშავენ?***

– ასეა. თუ დამნაშავეა, რატომ არ იჭერ? თუ არადა, რატომ არ აქვს საუბრის უფლება?! ეს რა მიდგომაა?! აქ ჩანს ხელისუფლების უსუსურობა. სამწუხაროდ, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ. რადიკალურად უსუსურია ხელისუფლება და ასეთივე უსუსურია ოპოზიციაც. პოლიტიკური სპექტრი მთლიანად დისკრედიტებულია, განადგურებულია, მე თუ მკითხავთ. ასეთ პირობებში ნაციონალური მოძრაობა, როგორც ბუა, ხელისუფლებას სჭირდება. მას სჭირდება მართული ოპოზიციები, როგორებიც არის „ევროპული საქართველო“ და „პატრიოტთა ალიანსი“.

***– ისინი მართულები არიან?***

– ამას რად უნდა ლაპარაკი. ძალიან ღიად გამოჩნდა, რომ მართულები არიან. ოპოზიცია დღეს არაფრის მაქნისია. სანამ არ მოხდება მთლიანად პოლიტიკური ველის ჩაფარცხვა და ჩარეცხვა, მანამდე არანაირი სიკეთე არ იქნება. ჩვენ გვჭირდება ახალი პოლიტიკური კლასი.

***– პრემიერ-მინისტრის სუსტ წერტილს შეეხო მელია და ამიტომ გამოვიდა მდგომარეობიდანო. ასეა? რამდენად იგეგმება მისი გადაყენება?***

– სიმართლე გითხრათ, ამ გადაყენებაზე მესმის უკვე რამდენიმე თვეა. ასევე რამდენიმე თვეა მესმის, რომ პიროვნება, რომელიც შეცვლის მას, არის გახარია. გახარიას პრომოუშენს რომ აკეთებენ, ფაქტია. სხვათა შორის, ამას რუსთავი 2-ც აკეთებს. აი, როგორი რეფორმატორია, როგორი კარგი მინისტრია და ასე შემდეგ. მე ამ პიროვნების მიმართ დადებითად განწყობილი არ გახლავარ, რადგან ერთგვარ სიყალბეს ვხედავ. კვირკაშვილს რაც შეეხება, მან თავისი როლი შეასრულა, ერთგვარი დავარცხნილი ფორმატი მისცა ყველაფერს. გახსოვთ, როგორი იყო წინა პრემიერი – ძალიან უხეში და თავისი გამოხდომებით ცნობილი. ამან უფრო დაამშვიდა სიტუაცია და ამ სიტუაციაში ასეთი საგიჟეთის მოწყობა პარლამენტში არაფერში ჯდება. უბრალოდ, საკუთარ თავს უნდა სცე პატივი.

***– რამ გამოიყვანა პრემიერი ასე მდგომარეობიდან? მას არ ჰქონდა ოპოზიციის კითხვებზე პასუხი?***

– მე ასე მგონია, რომ მას კითხვებზე პასუხი არ ჰქონდა და იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო. ერთი რამ ფაქტია, ღარიბაშვილი დაამახსოვრდება საზოგადოებას, როგორც თინა ხიდაშელის მაგინებელი კაცი, ხოლო კვირიკაშვილი დაამახსოვრდება, როგორც ნიკა მელიას მაგინებელი კაცი. ასე გინებით წასვლა არ არის კარგი. კვირიკაშვილი, სხვათა შორის, ცუდი პრემიერი არ იყო.

მათი მხრიდან იყო ყურადღების გადატანა იმ მწვავე საკითხებიდან, რომლებიც არის. ნახეთ, რა კითხვები იყო: ვინ გადაიყვანა აფგან მუხთარლი საზღვარზე, ვინ შემოიყვანა ჩატაევი საზღვარზე?! უმძიმესი კითხვებია, იმიტომ რომ სახელმწიფოს არსებობის საკითხი დგას! ასევე იქ არის საკითხი როკის გვირაბის სატრანზიტო მოძრაობის გახსნაზე. ეს არის საკითხი, რომლითაც საქართველოს სახელმწიფოს არსებობა სასწორზე იდება!

***– რამდენად სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ცხინვალში სატრანზიტო გზის გახსნა ჩვენს ქვეყანას?***

– უმძიმეს პრობლემებს. რა იურისდიქციით იმოძრავებს ტრანსპორტი ოკუპირებულ ტერიტორიაზე, როგორ გადმოკვეთს საზღვარს? ვის იურისდიქციაშია ეს?! ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ მას მოჰყვება შემდეგ უკვე ტრანზიტი აფხაზეთის რკინიგზაზე, ეს იქნება კატასტროფა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რკინიგზა გაიხსნება, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესებში და ამას მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო დატვირთვა ექნება.

***– რა თვალსაზრისით?***

– ის მოამარაგებს იარაღით თავის კონტინგენტს სომხეთის რესპუბლიკაში. მას კომერციული დატვირთა ნამდვილად არ ექნება.

***– რატომ წავიდა ამაზე ჩვენი ხელისუფლება?***

– იმიტომ, რომ ეს დაკვეთა იყო! ძალიან კარგად უნდა მივხვდეთ ამას, რაში სჭირდება რუსეთს იარაღით მომარაგება, ერთი მხრივ, აზერბაიჯანისა და, მეორე მხრივ, სომხეთის?! იმიტომ, რომ წამოიკიდოს დიდი ომი კავკასიაში! ამ ომში ჩვენ გარეშე მოთამაშედ ვერ დავრჩებით, მით უმეტეს, თუ კორიდორს მოითხოვენ რუსები თავიანთი სამხედრო ტვირთისათვის. ამით ჩვენ დავიღუპებით!

# ვისთვის გაიხსნა როკის გვირაბი?

დასაწყისი მე-3 გვერდზე

კერძოდ, ცხინვალის რეგიონში. ამის აღრიცხვა მოხდება. შემდეგ ტვირთები გამოივლის ცხინვალის რეგიონს – ოკუპირებულ ტერიტორიას და მოვა გორში. გორში ჩვენი მებაჟეები და შვეიცარიული კომპანიის წარმომადგენლები შეადარებენ. ეს არის პრინციპი.

***– რა ტვირთების გადაზიდვაზეა თანხმობა?***

– ეს იქნება ჩვეულებრივი ტვირთები.

***– სამხედრო ტვირთებს არ ეხება?***

– არა, რა თქმა უნდა. ეს არის ჩვეულებრივი სავაჭრო ტვირთები. ეს ტვირთები არ უნდა გაჩერდეს ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

***– აფხაზეთიდან გამომავალ ტვირთებზეც არის საუბარი?***

– ამ ეტაპზე მხოლოდ ცხინვალის რეგიონზეა საუბარი. ეს არის საავტომობილო ტვირთები. აფხაზეთის მიმართულებით თუ გაიხსნება, საუბარი იქნება სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო ტვირთებზე. სარკინიგზო ტვირთების გადაზიდვაზე მოლაპარაკებები შეჩერებულია. საავტომობილო ტვირთები პრობლემა არ არის. როგორც ჩანს, ჯერ ხსნიან ცხინვალის მიმართულებას, როკის გვირაბის მიმართულებას, რადგან როკის გვირაბიდან მხოლოდ საავტომობილო ტვირთების გამოტარებაზეა შეთანხმება.

***– რა ფაქტორების გამო შეიძლებოდა მიეღო რუსეთს აღნიშნული გადაწყვეტილება?***

– პირველი მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ევრაზიული კავშირის განმტკიცება. ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს, რომელიც შეიქმნა 2012 წელს, სომხეთი და ყირგიზეთი შეუერთდნენ. სომხეთთან სავაჭრო ურთიერთობების სრულად არამოქმედება ხელს უშლიდა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სრულმასშტაბიან ამოქმედებას. ერთადერთი გზა, რომლითაც სომხეთი რუსეთს უკავშირდება და ტვირთებს გაიტანს სომხეთში, ლარსის მონაკვეთია. ცხინვალის ხაზის გახსნა და დამატებითი ტვირთების მოძრაობა კიდევ უფრო გაზრდის რუსეთსა და სომხეთს შორის ტვირთბრუნვას.

მეორეა თვით სომხეთის ფაქტორი. სომხეთის მთავრობამ არაერთხელ მიმართა საქართველოს ხელისუფლებას, გახსნილიყო ცხინვალის გავლით ტვირთების გადასაზიდად გზა. ერთადერთი გზა, რომელიც სომხეთს აკავშირებს თავის სავაჭრო პარტნიორებთან, რუსეთსა და დსთის სხვა სახელმწიფოებთან, საქართველოზე გადის. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, სომხეთი დაინტერესებული იყო ამ შეთანხმებით.

***– ცოტა ხნის წინ რუსეთმა სირიაში თავისი მისია დამთავრებულად გამოაცხადა და ჯარი უკან გამოიწვია. გამორიცხულია, რომ რუსეთს რაღაც ახალი ჩანაფიქრი ჰქონდეს? შეიძლება რაღაც ახალი ბრძოლებისთვის ემზადებოდეს და ტვირთების გადატანა სჭირდებოდეს?***

– ამ გზით სამხედრო ტვირთებს ვერ გადაიტანს. შეთანხმება, რომელიც დაიდო საქართველოსა და რუსეთს შორის შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით, ეხებოდა არასამხედრო ტვირთების გადატანას საქართველოს ტერიტორიის გავლით სომხეთისა და სხვა მიმართულებით. სამხედრო ტვირთების გადატანა რეგულირდება სხვა შეთანხმებით.

***– სურსათის გადატანა მაინც არ შეუძლია იმ სამხედროებისთვის?***

– სამხედრო – არა, არასამხედრო დანიშნულებისთვის შეიძლება გადატანა.

***– ყოველ შემთხვევაში, ასეთი უცაბედი დათანხმება რუსეთის მხრიდან საეჭვოა.***

– მესამე ფაქტორიც არის. სომხეთის გარდა, არის თურქეთის ფაქტორიც. რუსეთსა და თურქეთს შორის კარგი ურთიერთობა აღდგა. დაიწყო ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები. დამატებით ტვირთები ცხინვალის რეგიონის გამოვლით გატანილ უნდა იქნეს თურქეთში და პირიქით. ლარსის მიმართულებაზე უფრო მომგებიანია როკის მიმართულებით მაგისტრალის ამოქმედება. რუსეთიდან ცხინვალისა და საქართველოს სხვა ტერიტორიების გავლით ტვირთები ჩავა თურქეთში.

***– სომხეთის გავლით?***

– არა, ტვირთები შემოვა საქართველოს ტერიტორიაზე და წავა თურქეთში, მით უმეტეს, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა გაიხსნა.

***– ე.ი. ნებას ვრთავთ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთის სავაჭრო ტვირთებმა იმოძრაოს. ლარსის მხრიდანაც არ აქვს რუსეთს სამხედრო ტვირთების გადატანის უფლება?***

– არა, ლარსის მხრიდანაც არასამხედრო ტვირთების გადატანის უფლება აქვს.

***– მაშინ რატომ იყო საუბარი ლარსის მხრიდან სამხედრო ტვირთების გადატანის უფლებაზე?***

– საუბარი იყო არასამხედრო ტვირთების გატარებასა და სამხედრო მოსამსახურეების გადაადგილებაზე, რომლებიც შემოდიან საქართველოს ტერიტორიაზე და სომხეთისკენ მიაცილებს ჩვენი სამხედრო პოლიცია. ბუნებრივია, იქ შეიძლება, სამხედრო ტვირთიც ჰქონდეთ და იარაღიც. მათი ტვირთების შემოწმების უფლება საქართველოს არ აქვს. ოფიციალურად არასამხედრო ტვირთების გადატანის უფლება აქვთ.



***– თუ ქართველებს შემოწმების უფლება არ აქვთ, რა გარანტიაა, რომ სამხედრო ტვირთებსა და იარაღსაც არ გადაიტანენ?***

– გარანტია არ არსებობს. პრაქტიკულად, შეიძლება სამხედრო ტვირთიც ჰქონდეთ და იარაღიც.

***– ამ გზის გახსნა თვითონ ცხინვალის რეგიონისთვის რას წარმოადგენს?***

– სეპარატისტული რეჟიმი ამით ვერ იხეირებს.

***– საბაჟო მოსაკრებელი სეპარატისტების ე.წ. ბიუჯეტში არ შევა?***

– არა, ეს არის შეთანხმება მხოლოდ საქართველოსა და რუსეთს შორის. ამით სეპარატისტები ვერ იხეირებენ.

***– ტვირთები ცხინვალის რეგიონში გაჩერდება?***

– ამ ტვირთების გაჩერება ცხინვალის რეგიონში შეუძლებელია. შვეიცარიული კომპანია აფიქსირებს, რა ტვირთები შემოვიდა როკის გვირაბის რუსული მხრიდან საქართველოში და ამის გადამოწმება მოხდება გორში, ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე.

***– ამ ხელშეკრულებით აქედან თუ გავა ტვირთები ცხინვალის რეგიონის გავლით რუსეთში?***

– რა თქმა უნდა, ბუნებრივია.

***– სავაჭრო ტვირთების ორმხრივ მოძრაობაზეა საუბარი.***

– დიახ, როკის გვირაბთან და ახალგორის რაიონის შესასვლელთან დადგებიან.

***– ე.წ. საზღვრის დაფიქსირება ხომ არ მოხდება?***

– რას გულისხმობთ?

***– რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვრის გადმოწევა ხომ არ მოხდება-მეთქი, ამ ხელშეკრულების გაფორმება ვითარების ამგვარ განვითარებას ხელს ხომ არ შეუწყობს?***

– როკის გვირაბის იქით, 5 კილომეტრში, რუსული ტერიტორია იწყება. იქ მოხდება ტვირთების შემოწმება და დაფიქსირება შვეიცარიული კომპანიის მიერ. შემდეგ ეს ტვირთები გამოივლის ოკუპირებულ ტერიტორიას და გორში მოხდება ამ ტვირთების გადამოწმება.

***– შესაძლებელი არ იყო როკის გვირაბთან შვეიცარიელებთან ერთად ქართველი მესაზღვრეების დაყენება?***

– საქართველოს სახელით შვეიცარიელები იქნებიან მეთვალყურეები. ქართველი მესაზღვრეების ჩაყენებას რუსული მხარე კატეგორიულად ეწინააღმდეგება. შვეიცარიელები განახორციელებენ ამ მისიას.

***– ჩვენ შვეიცარიულ კომპანიას ვენდობით?***

– რა თქმა უნდა.

***– საქართველოს ამ გზაზე ტვირთების მოძრაობით რაიმე შემოსავლები მაინც თუ ექნება?***

– ალბათ ექნება, რადგან თურქეთისა და სომხეთისთვის გადასახადი არავის გაუუქმებია.

***– ქართველ გლეხს რომ მოუნდეს, ვთქვათ, გორიდან ვაშლის გატანა ან ბათუმელს მანდარინის გატანა ამ გზით, გაუშვებენ? გაატარებენ ცხინვალის ტერიტორიაზე და რუსეთში შეუშვებენ?***

– რა თქმა უნდა, ბუნებრივია, ეს გზა იხსნება ტრანზიტისთვის და ტრანზიტით მოხდება ტვირთების გატანა. არ ვიცი, კონკრეტული შეთანხმებით რა არის გათვალისწინებული, მაგრამ თეორიულად ასე უნდა იყოს.

***– რუსეთიდან და საქართველოდან ამ შეთანხმებას სახელმწიფოები აწერენ ხელს?***

– რა თქმა უნდა, სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებაა. ორივე ხელს აწერს მესამე მხარესთან, რომელსაც შვეიცარიული კომპანია წარმოადგენს.

# ანზორ აბრალავა: „არაჯანსაღი ვითარება ქვეყანაში მიზანმიმართულად იქმნება“

მარიამ მჭედლიშვილი

## „ნაციონალები თავიანთ ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებზე კისერს წაიტეხენ“



ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას

***– გახშირდა მკვლელობები და თვითმკვლელობები მოზარდებს შორის. უკიდურესად დაძაბულია ურთიერთობა პოლიტიკოსებში, რომელსაც პარლამენტში 20 დეკემბრის ინციდენტი მოჰყვა. მიანიშნებს თუ არა ყველაფერი ეს ეს იმაზე, რომ ქვეყანაში არაჯანსაღი სიტუაციაა?***

– ნამდვილად არაჯანსაღი სიტუაციაა. არაჯანსაღი ვითარება ქვეყანაში მიზანმიმართულად იქმნება. ამის თავიდათავი ის მახინჯი პროპაგანდაა, რომელსაც ლიბერალიზმის სახელით გვთავაზობენ.

***– ამას ძალადობასთან რა კავშირი აქვს?***

– საზოგადოებას თავს ახვევენ არასწორ ფასეულობებს. ეს იფუთება ადამიანის უფლებათა დაცვით. როგორ შეიძლება ნარკომანიის რეკლამირება? მთელი რიგი ორგანიზაციები და პიროვნებები სწორედ ამას აკეთებენ. „თეთრი ხმაური“ მარტო მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზებას არ სჯერდება. მას ბევრად მეტი სურს. ამ ხალხს უნდა სრული თავისუფლება ნარკომანებისათვის. დეკრიმინალიზაციასა და ლეგალიზაციას შორის დიდი სხვაობა არ არის. ნარკომანიზაცია მომაკვდინებელია მოზარდებისათვის. ისინი ამ ვითომ ლიბერალურ იდეოლოგიას ყოველდღე ისრუტავენ ტელევიზიებიდან. ბავშვებს ასწავლიან, რომ პროგრესსა და ნარკომანიას შორის ტოლობაა, პროსტიტუციაც ცივილიზაციას ნიშნავს. ამ იდეებს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, მაგრამ ტელევიზიებში ასეთების აზრი იდევნება. ყველა არხზე არიან ერთი ადა იგივე სახეები ერთნაირი დამღუპველი აზრებით. მადლობა „ახალ თაობას“, რომელიც განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანებსაც გვაძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას.

***– არასრულწლოვანები ამ იდეოლოგიის ტყვეობაში ექცევიან? ბევრი მათგანი ტელევიზორს არც უყურებს.***

– მათზე ზემოქმედებენ. ნარკომანიისა და პროსტიტუციის აფიშირება ყველა საშუალებით მიმდინარეობს. ბავშვს ხშირ შემთხვევაში ვეღარც ოჯახი შველის. ოჯახის ინსტიტუტსაც ხომ არყევენ და ანგრევენ! ქვეყანაში ჯანსაღი სიტუაცია როგორ იქნება? აგრესიას ამჟღავნებს ის ხალხი, რომელსაც ოპოზიცია ჰქვია. ამ პოლიტიკოსების ყოველდღიური ქმედებები ინტრიგანობაა. ნაცმოძრაობას უფრო შორსმიმავალი გეგმებიც აქვს. უკრაინასა და საქართველოში ერთდროულად შეიქმნა რევოლუციური შტაბები. ამ ეტაპზე სააკაშვილის დამქაშებს რევოლუცია არ გამოუვიდათ. ეს ზოგიერთი ნაციონალის ფსიქიკურ მდგომარეობაზე აისახა, განსაკუთრებით – დეკანოიძეზე. სამარცხვინოა, რომ ამ ქალს, რომელსაც ნაციონალების კლარა ცეტკინს ვუწოდებდი, თავის დროზე განათლების სფერო ებარა. რა კავშირი აქვს დეკანოიძეს განათლებასთან? მელია თავისი პროვოკაციებით თავს აწონებს სააკაშვილს.

***– და ანკესზე აგებს პრემიერს?***

– ასე არ ვიტყოდი. ზოგიერთის თქმით, პრემიერი ადამიანი არ არის და ნერვები არ უნდა ჰქონდეს! ესაა ერუდირებული, გაწონასწორებული და ამ თანამდებობისათვის შესაფერისი პიროვნება. რაც შეეხება მელიას მიერ გამოყენებულ მეთოდებს, ეს ნაცმოძრაობის ძველი სტილია. ეს პარტია სააკაშვილის მონაწილეობით ასეთ ხერხებს ადრევე იყენებდა. 2003 წელს მათ ბოლნისში მოაწყვეს პროვოკაცია. მაგათთვის ცემა-ტყეპაც მისაღებია, შეურაცხყოფაც და თაღლითობაც. ამას ხელი ეწყობა დაუსჯელობით.

***– კონკრეტულად?***

– ის ნაციონალები, რომლებსაც სერიოზული დანაშაული აქვთ ჩადენილი, დაუსჯელი არიან. ისინი პარლამენტში ფრაქციებად დაიშალნენ. მელია და გოცირიძე ლიდერები არიან. რომან გოცირიძეს ჰგონია, რომ ხალხს გაუფასურებული კუპონები დაავიწყდა. მაშინდელი სიტუაცია დანაშაულებრივი პრივატიზაციის შედეგი იყო. ძველ საქმეებზე რომან გოცირიძემ ხელები დაიბანა. დღეს ის ახალგაზრდებშია. გოცირიძე ისე გამოიყურება ახალი თაობის ნაციონალებს შორის, როგორც ბიჭიკო „უდიპლომო სასიძოდან“ პატარა ბავშვებთან ფეხბურთის თამაშისას.

***– მომავალ წელს პრეზიდენტს ისევ ხალხი ირჩევს. პრეზიდენტად კენჭისყრას აპირებენ გიორგი მარგველაშვილი, დავით უსუფაშვილი, ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი.***

– ყველა მათგანს ხალხი იცნობს და ყველას აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. სხვებიც დაასახელებენ კანდიდატურებს. მთავარია, ლიდერს ჰქონდეს რეალობის გრძნობა.

***– რეალობა როგორია?***

– მოსწონს ეს ბევრს თუ არა, განწყობას პოლიტიკაში ქმნის ბიძინა ივანიშვილი. მისი მხარდაჭერა აუცილებელი და საკმარისი პირობაა კანდიდატის გამარჯვებისათვის. პრეზიდენტი ვეღარ გახდება მარგველაშვილი. მენეჯმენტშიც ვერკვევი და პიარშიც, შემიძლია ვთქვა, რომ მოქმედი პრეზიდენტის გამოსვლები და მოქმედებები მოძველებულია. მას არ გააჩნია პიროვნული ხიბლი.

***– ბევრი ფიქრობს, რომ გიორგი მარგველაშვილს შეუძლია პოლიტიკური ცენტრის შექმნა.***

– მას ასეთი უნარი არ გააჩნია. პრეზიდენტი ხვდება ოპოზიციას, მაგრამ სინამდვილეში არც ოპოზიციისკენაა და არც ხელისუფლებისკენ. მარგველაშვილი ლაპარაკობს ყველაფერზე, მაგრამ პასუხს არ აგებს არაფერზე. ის კომფორტულად გრძნობს თავს პრეზიდენტის სასახლეში, რომელსაც ადრე აკრიტიკებდა.

ნაციონალებს კანდიდატი არ დაუსახელებიათ. ამ ხალხს ისევ რევოლუცია უნდა. ადრე თუ გვიან ნაციონალები თავიანთ ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებზე კისერს წაიტეხენ. აქამდე გასდიოდათ, მაგრამ მოვა მათი პასუხისგებაში მიცემის დრო. სამწუხაროა, რომ ხელისუფლება ბრმად ასრულებს იმ უცხოელი პოლიტიკოსების მითითებებს, რომლებიც ზურგს უმაგრებენ ნაცმოძრაობას. ასეთია ევროპის სახალხო პარტია. ეს პარტია მაგონებს ჰიტლერის ორგანიზაციას, რომელსაც თავიდან გერმანიის მუშათა სოციალისტური პარტია ერქვა, შემდეგ კი – ნაციონალ-სოციალისტური.

***– ამ ორგანიზაციაში ნაციონალებს ალბათ ლობისტების ერთი ჯგუფი ჰყავთ.***

– ლობისტების ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მიმაჩნია, რომ ევროპის სახალხო პარტია არ არის ევროპული ღირებულებების მატარებელი. ასეთების წყალობით საქართველოში ხდება დასავლური დემოკრატიული ფასეულობების დისკრედიტაცია.




# აქსისი საახალწლო ფასდაკლებას აცხადებს

აქსისი მომხმარებლებს ახალ წელს ახალი პროექტით ულოცავს და საახალწლო აქციას სთავაზობს. 2018 წლის იანვრის ბოლომდე ახალ კომპლექსში „აქსისპალასი საირმეზე“ ბინის შეძენა 15%-იანი ფასდაკლებით არის შესაძლებელი.

„აქსისპალასი საირმეზე“ აქსისის ახალი პროექტია, რომელიც საირმის ქუჩა, N51-ში მდებარეობს. აქსისის ხარისხი და არქიტექტურა, განვითარებული ინფრასტრუქტურა, შენობის მდებარეობა, საიდანაც 360 გრადუსიანი ხედი იშლება, წითელ ბაღთან სიახლოვე, საირმის გორის სუფთა ჰაერი,საბურთალოს უბნისთვის გამორჩეულ სივრცეს ქმნის და პროექტს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის.

საახალწლო შეთავაზება ვრცელდება სხვა მიმდინარე პროექტებზეც. კერძოდ, 5-10%-იანი ფასდაკლებით ბინების შეძენა შესაძლებელია შემდეგ კომპლექსებში: “ჭავჭავაძის 49“, „აქსისი იპოდრომთან“, „წინამძღვრიშვილის 125“, „აქსისი დიდუბეში“.

# ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა დაიწყო




ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მშენებლობის დაწყების ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო პრემიერ-მინისტრმა. გიორგი კვირიკაშვილმა ანაკლიის პორტი შეაფასა, როგორც „21-ე საუკუნის საქართველოს ყველაზე დიდი პროექტი, რომელიც არის დასაწყისი საქართველოს გარდაქმნისა სატრანზიტო ქვეყნიდან წარმოების, ლოგისტიკისა და ინდუსტრიის განვითარების ქვეყნამდე“.

– უპირველეს ყოვლისა, პორტი უნიკალური პროექტია, იქიდან გამომდინარე, რომ ეს პორტი აბრეშუმის გზის რუკაზე განამტკიცებს საქართველოს პოზიციას. ეს პორტი, რა თქმა უნდა, შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქვეყანას, მიიღოს ყველაზე დიდი გემები და, აქედან გამომდინარე, ფეხი აუწყოს საკონტეინერო თუ სხვა გადაზიდვების იმ მზარდ დინამიკას, რომელსაც რეგიონში აქვს ადგილი. რა თქმა უნდა, ეს პორტი საშუალებას მისცემს არა მხოლოდ ამ რეგიონის, არამედ მთელი საქართველოს მცხოვრებლებს, სრულიად სხვა შესაძლებლობები გაიჩინონ საკუთარი ბიზნესისთვის, წამოიწყონ სრულიად ახალი საქმე. უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე ათასი ადამიანი დასაქმდება ჯერ მხოლოდ მშენებლობის პროცესში, ხოლო შემდეგ, დღეს ძნელიც კია, გამოვთვალოთ ის ეფექტი ჩვენს ეკონომიკაზე, რომელსაც ეს პორტი მოიტანს. ეს არის რეალობა, აქ არაფერია გადაჭარბებული. ამ პორტის გარშემო, რამდენიმე ათასი ჰექტარი განვითარდება, როგორც საწარმოო, სასაწყობო, ლოგისტიკური და, რა თქმა უნდა, საცხოვრებელი ახალი ზონა. ეს იქნება უდიდესი დინამიკა, რომელიც გაჩნდება ჩვენს ქვეყანაში და ეს იქნება სრულიად ახალი შესაძლებლობები ინოვაციური, ლოგისტიკური, ინდუსტრიული ახალი საქართველოსთვის, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერმა მადლობა გადაუხადა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ რამდენიმეწლიანი უდიდესი სამუშაოს ჩატარებისთვის და აღნიშნა, რომ დღეს უკვე შეკრულია პროექტი, რომელშიც, ქართულ კომპანიებთან ერთად, არიან ამერიკული საინჟინრო კომპანია „კონტი“, ასევე, პორტის ოპერატორი და ინვესტორია მსოფლიო გიგანტი, სიეტლის პორტის მენეჯერი; ინვესტორები უზბეკეთიდან და ძალიან მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები მიმდინარეობს ჩინეთთან. პრემიერ-მინისტრი პროექტში ყველა ქვეყნის ჩართულობას მიესალმა.

– ამ ადგილას ევროპა ხვდება აზიას. ეს არის ყველაზე მთავარი. საქართველო წარმოჩნდება მსოფლიო მასშტაბით, როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის, სტაბილურობისა და მშვიდობის ქვეყანა. მინდა, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ დღევანდელი დღე, მივულოცო მთელს საქართველოს და ჩვენს ყველა მეგობარს, ვინაიდან, დღეს ამ ადგილას ახალი საქართველო იწყება, ყველანაირი გადაჭარბების გარეშე, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ანაკლიის პორტის სამშენებლო სამუშაოების დაწყების ცერემონიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად მიიღო მონაწილეობა.

# „ჰეფესტო“ – ქართველი არქიტექტორის შემოქმედებითი სტარტაპი



„ჰეფესტო“ 26 წლის არქიტექტორ დავით ხულორდავას შემოქმედებითი სტარტაპია, რომლის საშუალებითაც სპეციალური დანადგარით ტყავსა და ხეზე მუშაობის შედეგად სხვადასხვა აქსესუარის ექსკლუზიურ, საცალო რეალიზაციას ახდენს. სტარტაპის ავტორს, ბავშვობიდანვე იზიდავდა ხელნაკეთი ნივთები, თუმცა მხოლოდ 3 თვეა, პროფესიულ საქმიანობას თავი მიანება და საკუთარ დროსა და ენერგიას მთლიანად „ჰეფესტოს“ პროდუქტზე მუშაობას უთმობს. სახელი ძველი ბერძნული მითოლოგიიდან, ცეცხლისა და მჭედლობის ღვთაების, ჰეფესტოსის, გავლენით შეირჩა. მარკეტერი დავით ხულორდავას ესაუბრა „ჰეფესტოს“ სარეალიზაციო არხებზე, ბაზარზე სტარტაპის მთავარ უპირატესობასა და განვითარების სამომავლო გეგმებზე:

***– რა პროდუქციას სთავაზობს „ჰეფესტო“ მომხმარებლებს და რა მასალისგან მზადდება?***

– ნატურალურ მასალებს ვანიჭებ უპირატესობას და ხის, ტყავის, ორგანული მინის, ფანერისა და სურვილის შემთხვევაში, ქვისგანაც, ვამზადებთ აქსესუარებს: საფულე, ჩანთა, სამაჯური, ქამარი და ა.შ. ასევე, სანათები, ავეჯი, ინტერიერის გასაფორმებელი ნივთები.

***– როგორია აქსესუარების შექმნის პროცესი?***

– ამ ეტაპისთვის ჩამოტანილი მაქვს ლაზერული დანადგარი, ლაზერული საჭრელი, გრავირების მანქანა, რომელიც ახლა ძალიან მოდაშია და ამ დანადგარით ვაპირებ, რომ ნელ-ნელა გავაფართოვო და განვავითარო ჩემი საქმე. მუშაობის სპეციფიკა ასეთია: ჯერ ვხაზავ სასურველ ფორმებს, შემდეგ დანადგარი ჭრის ამ ფორმებს იდეალურად და ხელით ვაკეთებ ნაკერს, რომელიც საკერავი მანქანით შეკერილზე ბევრად გამძლე, ლამაზია და მეტ შრომას მოითხოვს.

***– სარეალიზაციო არხებად რა საშუალებებს იყენებთ? როგორია შეკვეთის დასრულების დრო და ღირებულება?***

– ძირითადად, ამ ეტაპზე ფეისბუქი არის წამყვანი სარეალიზაციო არხი, ამასთან ხელნაკეთი ნივთების ბუტიკებშიც ვაბარებთ ხოლმე ჩვენს აქსესუარებს. შეკვეთის დასრულების დრო შესრულების სირთულეზეა დამოკიდებული, მაგალითად, საფულის დამზადება 2 დღეში შეიძლება მოხერხდეს, თუმცა, თუ ძალიან საჩქაროა, 1 დღეშიც დაგვიმზადებია. რაც შეეხება ჩანთებს, დაახლოებით, 3-4 დღე სჭირდება. რაც შეეხება ღირებულებას, ფიქსირებული ფასი, ჩვენს პროდუქტზე, მეტ-ნაკლებადაა. ძირითადად, გამოვდივარ მასალის ფასიდან და თანხა, საორიენტაციოდ, ემატება იმ დროის მიხედვით, რაც სჭირდება შეკვეთის დამზადებას.

***– რას მიიჩნევთ ბაზარზე თქვენს მთავარ უპირატესობად?***

– მე მჯერა და ასე ვამბობ ხოლმე ახლობლებში, რომ ის საქმე, რასაც ახლა ვაკეთებ, მოდურია და ბევრი შეეჭიდა ამ ამბავს. ერთ-ერთი უპირატესობა კი, „ჰეფესტოს“ შემთხვევაში, არის ჩემი არქიტექტორობა – სივრცეში აზროვნება, რომ განსხვავებული ფორმები სიბრტყეში გადაიტანო და მერე ისევ მოცულობაში ამოიყვანო. საკმაოდ ბევრი ფიქრი და დრო სჭირდება ამას. გარდა ამისა, „ჰეფესტოში“ გვირჩევნია, რომ შედარებით, ცოტა რაოდენობის პროდუქტი გვქონდეს, თუმცა იყოს აუცილებლად ხარისხიანი და სიყვარულით გაკეთებული.

***– როგორია „ჰეფესტოს“ განვითარების სამომავლო გეგმები? რა მიმართულებით აპირებთ საქმიანობის გაგრძელებას?***

– უფრო დიდი სურვილი მაქვს, რომ ინტერიერის დიზაინზე ვიმუშაო და ექსკლუზიური, იშვიათი ნივთები დავუმზადო ხალხს, მათი სურვილების მიხედვით. თუმცა, მთავარია, ამ შემთხვევაში, შეკვეთა იყოს საინტერესო და შემოქმედებითი, რომ მეც მივიღო სიამოვნება საქმისგან. მარტო ის არაა, რომ დამზადდეს, აუცილებლად უნდა იყოს განსხვავებული და საინტერესო.

# მართვის მოწმობის გამოცვლის ვადამ 2018 წლის პირველ აპრილამდე გადაიწია

2006 წლის პირველ აპრილამდე გაცემული მართვის მოწმობების გამოცვლის ვადამ 2018 წლის პირველ აპრილამდე გადაიწია.

პარლამენტმა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები, რომელიც თავის მხრივ ე.წ. ტექდათვალიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება, მეორე მოსმენით იმ დათქმით მიიღო, რომ 2006 წლის 1-ლ აპრილამდე გაცემულ მართვის მოწმობებს იურიდიული ძალა დამატებით კიდევ რამდენიმე თვე შეუნარჩუნდებათ. შესაბამისი წინადადება კენჭისყრის პროცედურის დაწყებისას იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დავით მათიკაშვილმა დააყენა, რაც მომხსენებელმა – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა გაიზიარა. აქამდე 2006 წლის 1-ლ აპრილამდე გაცემულ მართვის მოწმობებს იურიდიული ძალა 2018 წლის 1-ლ იანვრამდე უნარჩუნდებოდათ, ამ ცვლილებების შემდეგ კი ეს ვადა 1-ლ აპრილამდე გაიზარდა.




– საგზაო მოძრაობის წესების შესახებ კანონის დღეს მოქმედი რედაქცია, კერძოდ, 62-ე მუხლის მესამე ნაწილი, ვგულისხმობ გარდამავალ დებულებებს, არის ჩამოყალიბებული შემდეგი სახით: 2006 წლის 1-ლ აპრილამდე საქართველოში გაცემული მართვის მოწმობებს იურიდიული ვადა შეუნარჩუნდეთ 2018 წლის 1-ელ იანვრამდე, გარდა ამ კანონის მეთხე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საზოგადოებამ იცის, ჩვენთვის არ არის სიახლე, ხდება ჩვენი თანამოქალაქეების მიერ მართვის მოწმობების გამოცვლის პროცესი. დადასტურებული ინფორმაციით, ეს დრო, რომელიც იყო მიცემული შესაბამისი ორგანოებისთვის, არ აღმოჩნდა საკმარისი და თუკი დარჩება ამ რედაქციით ეს მუხლი, აღმოჩნდება, რომ 2018 წლის პირველ იანვარს ძალიან ბევრ, ათასობით ჩვენს თანამოქალაქეს არ ექნება საშუალება ისარგებლოს 2006 წლამდე გაცემული მართვის მოწმობით. ჩვენ ამ კანონში შესაბამისი ცვლილებები განვიხილეთ მეორე მოსმენით, თუმცა, კენჭი არ გვიყრია. გთავაზობთ, 62-ე მუხლის მესამე ნაწილში, შევცვალოთ სიტყვა 2018 წლის 1-ელ იანვრამდე სიტყვით – 2018 წლის 1-ლ აპრილამდე ანუ დამატებით მიეცეს ვადა შესაბამის ორგანოებს მართვის მოწმებების შესაცვლელად და გაეზარდოთ ვადა ჩვენს თანამოქალაქეებს, რომ ჩაეტიონ დროში და მივცეთ საშუალება, ისარგებლონ ძალაში მქონე მართვის მოწმობებით, – განაცხადა მათიკაშვილმა.

# დავით როგავა: „ერთდღიანი შპს-ები არ უნდა გვქონდეს“




– რეალურად ჩვენ გვაქვს „ერთდღიანი შპს-ები“, რომლებსაც ფული არ აქვთ, შესაბამისად, მეორე მხარეს ფულს ვერ გადაუხდიან და სამართლებრივი მექანიზმიც მათ წინააღმდეგ ვერ ამოქმედდება. ასეთი შპს-ები არ უნდა არსებობდნენ, – ამის შესახებ „კომერსანტს“ ბიზნესმენმა დავით როგავამ განუცხადა.

დავით როგავა უკვე რამდენიმე წელია, საქართველოში მოღვაწეობს და რუსეთის შემდეგ, ბიზნესის კეთება აქ უწევს, მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ბიზნესგარემო ხელსაყრელია, თუმცა ასახელებს იმ ხარვეზებს, რომლებიც საკანონმდებლო და სოციალურ-საგანმანათლებლო დონეზე გაგვაჩნია.

დავით როგავა ზუგდიდში, ყოფილი ცენტრალური უნივერმაღის „ენგურის“ ტერიტორიაზე ახალ სავაჭრო ცენტრს აშენებს, რომლის გახსნაც დეკემბრის ბოლოს იგეგმება.

– მე ორი წელი მაქვს მოცემული ვადა ობიექტის დასრულებისთვის, უბრალოდ ჩემი სურვილი იყო, რომ უფრო მოკლე ვადებში დასრულებულიყო. თავიდან მშენებლობას სანამ შევათანხმებდი და ნებართვას მივიღებდი, შვიდი თვე დამჭირდა, შემდეგ უკვე სამშენებლო სამუშაოები დაიწყო, რომლებიც დღესაც მიმდინარეობს. ვერ ვიტყვი, რომ ბიუროკრატიულმა ბარიერებმა დიდი დრო წამართვა. უფრო სხვა სახის პრობლემას წავაწყდი. მშენებლები ვერ ასწრებენ, მასალამ დააგვიანა და მსგავსი შეფერხებები მქონდა. საკმაოდ აქტიურად ვმუშაობთ და გვინდა, რომ უახლოეს მომავალში სავაჭრო ცენტრი გაიხსნას, – აღნიშნავს როგავა.

მისივე თქმით, საკანონმდებლო დონეზე შპს-ებთან დაკავშირებით არის ხარვეზი, რომელიც აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას.

– საქართველოში დღეისათვის ყველაზე ხელსაყრელი ბიზნესგარემოა. მყავს რუსი და ამერიკელი პარტნიორები. ისინი აღნიშნავენ, რომ ჩვენთან ბიზნესის კეთება გამარტივებულია. თუმცა არის მინუსები. კანონმდებლობაში არის პრობლემა. ამ სფეროში ხელშეკრულებებში ვალდებულება არ არის გაწერილი. მაგალითად, როდესაც ორი შპს ხელშეკრულებას აწერს ხელს, ერთმა თუ შეასრულა და მეორემ არა თავისი ვალდებულებები, რაც ხელშეკრულებით არის გაწერილი, არ ისჯება. წავა ამ შპს-ს დირექტორი, 100 ლარს გადაიხდის, ახალ შპს-ს დააფუძნებს და ახალ საქმეს წამოიწყებს ისე, რომ იმ პირველ შპს-ს, ვისთანაც ვალდებულება ჰქონდა, კაპიკსაც არ მისცემს. ეს იმიტომ, რომ მას კანონი არ ავალდებულებს ამას. ეს არის ძალიან დიდი ხარვეზი, რომელიც საკანონმდებლო დონეზე აუცილებლად უნდა მოგვარდეს, – აცხადებს დავით როგავა.

მისივე თქმით, ვალდებულება არა შპს-ზე, არამედ მის დირექტორზე უნდა გადანაწილდეს: „შპს-ს უნდა ჰქონდეს ვალდებულება, რომ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დირექტორს მეორე მხარის მიმართ ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისროს. ამ პრობლემას ყველა ბიზნესმენი ვაწყდებით, ამის შესახებ ბიზნესასოციაციაშიც გვქონია საუბრები. ჩვენთან პასუხისმგებელი არის თავად შპს. მაგრამ რეალურად ჩვენ გვაქვს „ერთდღიანი შპს-ები“ რომლებსაც ფული არ აქვთ, შესაბამისად, მეორე მხარეს ფულს ვერ გადაუხდიან და სამართლებრივი მექანიზმიც მათ წინააღმდეგ ვერ ამოქმედდება. ჩემი აზრით, აქ მეორე პრობლემაა ისიც, რომ შპს-ს დაფუძნების დროს, გარკვეული ზღვარი უნდა არსებობდეს ან ვალდებულება, რომ შპს-ს დასაწყისში გარკვეული თანხა თუ არ აქვს, მას არსებობის უფლება არ უნდა მიეცეს. „ერთდღიანი შპს-ები“ არ უნდა გვქონდეს.“

ამასთან ბიზნესმენმა იმ პოტენციალზეც ისაუბრა, რაც რეგიონებს და ამ შემთხვევაში ზუგდიდს გააჩნია. მისი თქმით, ბიზნესმა ადგილობრივებს ისეთი პირობები უნდა შეუქმნას, რომ საცხოვრებლის დატოვება არ მოუწიოთ.

– ზუგდიდი დღეს ყველაზე პერსპექტიული ქალაქია. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა იწყება, რაც ინვესტიციების მოზიდვას, ხალხის დასაქმებას გულისხმობს. მომავალში აქ მეტი პერსპექტივა გაჩნდება და ქალაქი გაძლიერდება. ჩემი აზრით, დედაქალაქიდან რეგიონში უნდა გადავინაცვლოთ. მეც ამიტომ გადავწყვიტე, ზუგდიდში გარკვეული ინვესტიციის განხორციელება. ქალაქიდან სოფლებში ჩასვლა და სოფლის მეურნეობის განვითარება არის ის, რაც გადაგვარჩენს. ეს ბიზნესმა უნდა გააკეთოს. პოტენციალი გვაქვს, რომელსაც გამოყენება სჭირდება. რაც უფრო მეტი თანხა ჩაიდება რეგიონში, მით მეტი ადგილობრივის დასაქმებას ნიშნავს. მე მაგალითად, ჩემს სავაჭრო ობიექტზე ადგილობრივებს დავასაქმებ და თანამშრომლებს სხვა ქალაქებიდან არ ჩამოვიყვან. ადგილობრივებს უნდა შევუქმნათ პირობები, რომ არ მოუხდეთ თავისი საცხოვრებლების დატოვება და სხვა ქალაქებში სამსახურების ძიება, – აღნიშნავს ბიზნესმენი.

ამასთან, დავით როგავას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივების დასაქმების სურვილი აქვს, ხშირად ეს იმის გამო ვერ ხერხდება, რომ რეგიონებში პროფესიონალი კადრების მოძიება უჭირს.

– პროფესიონალიზმი გვაკლია. როცა დასაქმების და უმუშევრობის პრობლემაზე მესაუბრებიან, მე სულ ვკამათობ და ვამბობ, რომ ჩვენ მეტი პროფესიონალიზმი გვჭირდება, თუნდაც მეტი მუშა, რომელიც მცოდნეა. როცა სამშენებლო სამუშაოები მაქვს, 100 მუშიდან 5-ს თუ მოვძებნი, რომელმაც საქმე იცის. ამიტომაც იწელება პროექტები დროში და ამიტომაც გვაქვს დასაქმების პრობლემა. სავაჭრო ცენტრის მშენებლობისთვის მუშახელი თბილისიდან ჩამოვიყვანე, რადგან ზუგდიდში იმ დონის სპეციალისტი ვერ მოვძებნე, რომელიც მჭირდებოდა. შუშაზე მომუშავე სპეციალისტები თბილისიდან ჩამოვიყვანე, ხოლო ქვებით მოპირკეთებისთვის მუშახელი ქუთაისიდან ჩამოვიყვანე. არ ვსაუბრობ, რომ ინსტიტუტების და უნივერსიტეტების დონეზე ხდებოდეს პროფესიული განათლების მიღება. ამ ეტაპზე ისიც სწორი ნაბიჯი იქნება, თუ უკვე არსებულ მუშახელს და სპეციალისტებს გადავამზადებთ და მათი პროფესიული დონის ამაღლება მოხდება, – აცხადებს ბიზნესმენი.

## კუმისთან მანქანამ კაცი მოკლა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმისთან ავტომაგისტრალზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

ავარია 23 დეკემბერს, გვიან ღამით მოხდა. შუახნის კაცი გზაზე ფეხით გადაადგილდებოდა, როდესაც მას მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა.

## სტამბოლში დავით ალხანაშვილი, იგივე „დათო პანკისკი“ მოკლეს

### კვალი ზაქრო კალაშოვისკენ მიდის

თურქეთში, სტამბოლის ერთ-ერთ რესტორანში, საქართველოს მოქალაქე ცეცხლსასროლი იარაღიდან ოთხი გასროლით მოკლეს.

36 წლის დავით ალხანაშვილი, იგივე „დათო პანკისკი“, პანკისის ხეობის სოფელ ომალოდან არის, თუმცა მისი მშობლები თელავის რაიონის სოფელ შალაურში ცხოვრობენ.

ოჯახის წევრები გარდაცვალების ადასტურებენ, თუმცა მედიასთან კომენტარს არ აკეთებენ.

ცხედრის გადმოსვენების პროცედურები უკვე დაწყებულია.

სავარაუდოდ, ალხანაშვილი შურისძიების მიზნით „კანონიერი ქურდის“ ზაქარია კალაშოვის, იმავე „შაქრო მოლოდოის“ გარემოცვამ მოკლა.

## რუსთავში „საქართველოს ბანკში“ მთვრალი ტაქსის მძღოლი შეიჭრა

თვითმხილველების ინფორმაციით, რუსთავში „საქართველოს ბანკის“ ექსპრესფილიალში ერთი პირი შეიჭრა, რომელიც პოლიციამ დააკავა. თავდამსხმელი დაახლოებით 40 წლამდე ასაკის კაცი იყო და, სავარაუდოდ, მას იარაღი ჰქონდა.

თვითმხილველების ცნობით, დაკავებული პირი წლებია, ტაქსის მძღოლად მუშაობს, ის ნასვამი იყო და პოლიციელებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

## გურჯაანში მოხუცი ცოლ-ქმარი სახლში გარდაცვლილი იპოვეს

გურჯაანში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, მოხუცი ცოლ-ქმარი გარდაცვლილი იპოვეს. ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, 77 და 80 წლის მოხუცები მეზობელმა გარდაცვლილები ნახა.

წინასწარი ინფორმაციით, ცოლ-ქმრის გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვა გახდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# „1 მილიონი ლარი მოტეხილია“

## დავით ოქიტაშვილი სკანდალში ეხვევა

„კულტურის პალატის“ ხელმძღვანელი დავით ოქიტაშვილი დიდ სკანდალში ეხვევა. „ნიუპოსტს“ ხელში ჩაუვარდა სკანდალური დოკუმენტები, სადაც განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის მითვისება იკვეთება.

ყველაფერი 2 წლის წინ, თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის დროს დაიწყო, როცა დავით დოიაშვილის ფირმას 3.800.000 ლარამდე ხელშეკრულება უტენდეროდ გაუფორმეს.

ჩვენი ინფორმაციით, დოიაშვილის დაწინაურებისთანავე „საქართველოს კულტურის პალატის“ ხელმძღვანელმა იმდენი „იჩალიჩა“, რომ ოლიმპიურმა კომიტეტმა „დოისთან“ გაფორმებული ხელშეკრულება მალევე გაწყვიტა და სწორედ დავით ოქიტაშვილის კომპანიასთან გააფორმა.

საკითხის გამოძიებას ითხოვს ნაციონალური მოძრაობის წევრი გივი კუბლაშვილი, რომელიც „ნიუპოსტთან“ ამბობს, რომ, მისი დათვლით, ოქიტაშვილმა 1 მილიონი მიითვისა.

არ არის გამორიცხული, ოპოზიციამ შესაბამის ორგანოებს საქმის გამოძიების მოთხოვნით მიმართოს.

– „საქართველოს კულტურის პალატა“ ააიპ. 2013 წლის გაზაფხულზე გაიხსნა. 2015 წლის ოლიმპიადის გახსნა-დახურვის ცერემონიალისთვის უტენდეროდ (3 წლით ადრე იცოდნენ და ტენდერი ვერ მოასწრეს) გაუფორმეს ხელშეკრულება დავით დოიაშვილის ფირმას 3.800.000 ლარამდე. ეს რომ ოქიტამ გაიგო, მივარდა და იმდენი იჩალიჩა, დოიაშვილს „აახია“ ეს კონტრაქტი, გააუქმებინა ოლიმპიურ კომიტეტს და ახალი დაადებინა თავის ფირმაზე – „საქართველოს კულტურის პალატაზე“. ეს გახლდათ 3.500.000 ლარი. სპეციალისტების მიერ უხეში დათვლებით, 1 მილიონი ლარი, ასე ვთქვათ, „მოტეხილია“.

დღემდე დოიაშვილი დაბოღმილი დადის. მე კონტრაქტებითა და მხოლოდ ფაქტებით ვსაუბრობ და ფაქტი სახეზეა, ბიუჯეტიდან იპარავენ ფულს და ვერ იყოფენ. როცა ამხელა ფულს იღებს „ოცნების“ დახმარებით ბიუჯეტიდან, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დავით ოქიტაშვილი ამბრაზურასავით ეფარება „ოცნებას“. ფულის გამო აკეთებენ ყველაფერს, თორემ სინამდვილეში არც სანდრო გირგვლიანი აწუხებთ ამათ და არც



ბარბარე რაფალიანცი, არც ის 15 წლის ბიჭები, თბილისში რომ დახოცეს. მათი სარწმუნოება ფულია, ფული რომელსაც გაჭირვებული ხალხის ჯიბიდან იღებენ, – აცხადებს კუბლაშვილი „ნიუპოსტთან“.

ნიუპოსტი

## „ჩემი რძალი შიშისგან დავარდა და ფეხზე ველარ ადგა. პოლიციელები იცინოდნენ“

### ახმეტაში ჩხრეკისას ცუდად გამხდარი ქალი თბილისში მკურნალობს

ახმეტაში პოლიციის მიერ ჩხრეკისას ცუდად გამხდარი ქალი თბილისში, ინგოროყვას კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში მკურნალობს.

ამის შესახებ ინფორმაციას „რეგინფო“ ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, ახმეტის პოლიციამ ქალის სახლის ჩხრეკა 22 დეკემბერს, გამთენიისას დაიწყო.

– გათენებული არ იყო, ოთახში რომ შემოცვივდნენ. მეძინა. 8 თუ 10 პოლიციელი იყო იარაღებით. ჩხრეკის ორდერი გვაქვს, პირდაპირ გვითხარი, იარაღი სად გაქვს, ბევრი რომ არც ჩვენი ვიწვალოთ და არც თქვენ გაწვალოთო. რა იარაღი, სახლში სანადირო თოფიც არასდროს გვქონია-მეთქი. ჩემს ოთახშიც დაიწყეს ჩხრეკა, ყველაფერი გადმოყარეს.

პოლიციელები სახლის მეორე სართულზეც იყვნენ ასული, სადაც ჩემი ძმა, რძალი და 1 წლის ბავშვი ცხოვრობენ. ისინიც წამოყარეს და იქაც ეძებდნენ. ჩემი რძალი შიშისგან ავად გახდა, დავარდა და ფეხზე ველარ ადგა. ბავშვი ტიროდა. ვიდრე ჩვენ რძლის მოსულიერებას ვცდილობდით, პოლიციელები იცინოდნენ, ამბობდნენ, რომ ჩემი რძალი ავადმყოფობას იგონებდა.

ჩხრეკა ნახევარ საათს გაგრძელდა. ჩვენებმა სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახეს. მე პოლიციაში წამიყვანეს, ოქმს ხელი უნდა მოაწეროო. იქ გავიგე, რომ ჩხრეკის ორდერი მამაჩემისთვის უჩვენებიათ. როცა სახლის ეზოში შემოსულან, მშობლებს უკვე ეღვიძათ. სახლში როცა დავბრუნდი, სასწრაფოს ჩემი რძალი ახმეტის საავადმყოფოში გადაჰყავდა, იქიდან კი რეანომობილით თბილისში გადაიყვანეს. ექიმებმა გვითხრეს, რომ მდგომარეობა მძიმეა, თავში კაპილარი აქვს გაწყვეტილი, რამაც სისხლის გაჟონვა გამოიწვია. გადარჩება თუ არა, არ ვიცით, – ამბობს დაშავებული ქალის ოჯახის წევრი (მაზლი) დავით ხოსიაშვილი.

ჩხრეკის შესახებ დადგენილება 21 დეკემბერს თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მარინე ცერცვაძეს აქვს გაცემული. დადგენილების მიხედვით, საქმე ეხება სსკ-ის 236-ე მუხლის დარღვევას, რაც იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

ჩხრეკის შედეგად პოლიციელებმა ხოსიაშვილების საცხოვრებელ სახლში იარაღი ვერ აღმოაჩინეს.

შსს-ს ცნობით, 24 დეკემბერს, დილის 6 საათზე, უწყებამ საპოლიციო კონტროლი დაასრულა, რომლის მიზანი იყო დანაშაულის პრევენცია და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

## თბილისში ირანის მოქალაქე ჰ.გ.-გან პოლიციამ 1 კგ ჰეროინი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, საპოლიციო კონტროლის ფარგლებში ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ირანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1990 წელს დაბადებული ჰ.გ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში, სამღებროს ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 1 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ჰ.გ.-ს ქვეყანაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით, სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები სისტემატურად შემოჰქონდა და მის რეალიზაციას საქართველოს ტერიტორიაზე, ძირითადად ფონიჭალაში ახორციელებდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რომელიც რვიდან ოც წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## „უცნობის“ სიძის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო

### სად გაქრა ლილოში მდებარე 3 შენობა?



მომღერალ „უცნობის“ ოჯახის საქმე შესასწავლად ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

საგამოძიებო სამსახურში სწავლობენ, სად გაქრა ლილოში მდებარე სახელმწიფოს კუთვნილი სამი შენობა.

2016 წლის ივლისში ეკონომიკის სამინისტრომ გიორგი გაჩეჩილაძის სიძის, გიორგი შარაშიძის, კომპანიას 326 ათას ლარად 13 ათას კვადრატულ მეტრამდე მიწა და ოთხი შენობა გადასცა. „უცნობის“ ოჯახს მინა-პლასტიკის საწარმო უნდა აეშენებინა და 700 ათასი ლარის ინვესტიცია განეხორციელებინა.

გაჩეჩილაძეებმა პირობა დაარღვიეს, არც ფული გადაიხადეს და არც საწარმო ააშენეს, ამიტომ 2017 წლის ზაფხულში მათ ქონება ჩამოართვეს და სახელმწიფომ უკან დაიბრუნა. დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ქონების მართვის სააგენტოსათვის გადაცემულ ტერიტორიაზე ისევ დგას 4 შენობა, მაგრამ რეალურად შენობები ზაფხულში აღარ იყო.

თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ლევან ხაბეიშვილი, ამტკიცებს, რომ ოთხი შენობის დემონტაჟის და ნაწილებად გაყიდვის შედეგად გაჩეჩილაძეებმა სახელმწიფოს ნახევარი მილიონი ლარი მოჰპარეს.

დიმიტრი ქუმსიშვილის უწყებამ კურიერისგან შეიტყო, რომ სახელმწიფო ქონება მიწასთან იყო გასწორებული. უწყებამ ადგილზე სპეციალური ჯგუფი გააგზავნა და მოგვიანებით განაცხადეს, რომ სახეზე იყო სისხლის სამართლის დანაშაული.

შემდეგ უცნობის სიძეს, გიორგი შარაშიძეს, დავურეკეთ, რათა დაგვეზუსტებინა, ვისთან შეათანხმა სახელმწიფო კუთვნილი შენობების დანგრევა და ნაწილებად გაყიდვა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დოკუმენტის შესწავლა უკვე დაიწყო. სავარაუდოდ, დაკითხვაზე უცნობის სიძესაც დაიბარებენ.

## აჭარაში 63 წლის მამაკაცს 8 წლის გოგონას მიმართ სექსუალური ძალადობა ბრალდება




63 წლის მამაკაცი 8 წლის გოგონას მიმართ გარყვნილ ქმედებაშია ბრალდებული. საქმის მასალებში წერია, რომ აჭარაში 63 წლის მამაკაცმა მეზობელ 8 წლის გოგონაზე სექსუალურად აბაზანაში იძალადა.

შემთხვევა იმ დროს, როდესაც მცირეწლოვანის მშობლები სახლში არ იმყოფებოდნენ. დაკავებულმა ბრალი რამდენიმე დღის წინ დახურულ სასამართლო პროცესზე აღიარა.

უმძიმესი დანაშაულის მოტივად 63 წლის მამაკაცის ადვოკატი დაკავებულის მიერ 1968 წელს გადატანილ დაავადებას, ტუბერკულოზს ასახელებს. თუმცა, პარალელურად ადასტურებს, რომ მცირეწლოვანზე განხორციელებული ძალადობის დროს ბრალდებული ადეკვატური იყო. ამ ფაქტს ექსპერტიზის დასკვნაც ადასტურებს.

ბრალდებულის აღიარების მიუხედავად, მისი ოჯახის წევრები დაკავებულის სექსუალური ხასიათის დანაშაულთან კავშირს გამორიცხავენ. ისინი ამბობენ, რომ ბავშვს გამოძიებისთვის ჩვენება დედამ ზეწოლის შედეგად მიაცემინა. მოგვიანებით კი დაკავებულის ოჯახს საჩივრის გამოტანის სანაცვლოდ ფულს სთხოვდა.

ბრალდებებს უარყოფს 8 წლის გოგონას დედა და დაკავებულის უმკაცრესად დასჯას ითხოვს. ვარაუდობს, რომ 63 წლის მამაკაცი მის შვილზე სისტემატიურად ძალადობდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში იმის გამო, რომ საქმე სექსუალური და პირადი ცხოვრების ამსახველ მასალას მოიცავს პროცესი ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დაიხურა.

63 წლის მამაკაცი ქუთაისის მეორე დაწესებულებაში წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას 2 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

## მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

### სითხე მენტორი — 4

დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.

გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.

☎ 599-73-48-21

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

2017, 25 დეკემბერი, №305

# გაერომ ფხენიანს დამატებითი სანქციები დაუწესა



გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება ჩრდილოეთ კორეისთვის დამატებითი სანქციების დაწესების თაობაზე.

ამ სანქციების თანახმად, ჩრდილოეთ კორეას ნავთობის მიწოდება შეეზღუდება. ფხენიანიც თავისი სამრეწველო პოტენციალის სრულყოფას ველარ შეძლებს.

– მსურს, უშიშროების საბჭოში შემავალ ყველა ქვეყანას მადლობა გადავუხადო, – განაცხადა აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში ნიკი ჰეილიმ.

თავად დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ დროა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით რევოლუციური შეტევა დაიწყოს. მან არ დააკონკრეტა, თუ რას გულისხმობდა, თუმცა აღნიშნა, რომ მალე მთელი მსოფლიო გაწითლდება.

– ლენინის, სტალინის, მაოს, კიმ ირ სენის იდეები მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებენ! წითელი დროშა ვაშინგტონზეც აღიმართება! – ამბობს დიქტატორი.

კიმ ჩენ ინის ამ განცხადებამ მსოფლიოში მხოლოდ ღიმილი გამოიწვია. ამერიკელმა კონგრესმენმა შუმერმა შენიშნა, რომ კიმს უკანასკნელ ხანს ფსიქიკა აშკარად ღალატობს.

– ნუთუ კორეაში ექიმები დაილია, რათა ამ კაცს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ? თუკი ასეა, მზად ვართ, ეს ჩვენ ვიტვირთოთ და კიმ ჩენ ინს ერთ-ერთ ამერიკულ კლინიკაში ვუმკურნალოთ, – ამბობს შუმერი.

# სტოკჰოლმის არბიტრაჟმა გაზპრომის სარჩელი უსაფუძვლოდ ცნო

სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლომ უარყო გაზპრომის სარჩელი უკრაინული კომპანია ნაფტოგაზისადმი.

რუსები ამტკიცებდნენ, რომ უკრაინა მოვალეა, მათ 56 მილიარდი დოლარი გადაუხადოს.

– რუსების პრეტენზიები უსაფუძვლოა, – ასეთია სტოკჰოლმის არბიტრაჟის ვერდიქტი.

უკრაინის პრეზიდენტი პოროშენკო ამ გადაწყვეტილებას მიესალმა.

– როგორც მოსალოდნელი იყო, სტოკჰოლმის სასამართლომ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო, – განაცხადა მან.





განსხვავებულია ვლადიმერ ჟირინოვსკის პოზიცია:

– აშშ-მ სტოკჰოლმის სასამართლოზე ზეწოლა განახორციელა. უკრაინას რომ ჩვენთვის ვალი გადაეხადა, დეფოლტი უნდა გამოეცხადებინა! ამერიკელების ზეწოლის შედეგად საარბიტრაჟო სასამართლომ შავი თეთრად გაასაღა და თქვა, რომ გაზპრომის პრეტენზიები უსაფუძვლოა, – ამბობს ვლადიმერ ვოლფოვიჩი.

გაზპრომის ხელმძღვანელობის პოზიცია კი ასეთია:

– სტოკჰოლმის სასამართლომ ჩვენი პრეტენზიების უმეტესი ნაწილი მართებულად ცნო. ასე რომ, უკრაინელები ტყუილად ხარობენ.

# აშშ-ში ტერორისტი დააკავეს



გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა ვინმე ევერიტ ჯეისონი დააკავეს. მას სან ფრანცისკოში შობის დღესასწაულზე ტერაქტების მოწყობა სურდა.

ჯეისონი ჯიჰადისტთა იდეოლოგიის მიმდევარი იყო.

ჯეისონის სახლის ჩხრეკისას აღმოაჩინეს იარაღისა და ტყვია-წამლის მარაგი, აგრეთვე ჯიჰადისტთა ლიტერატურა.

ცალკე სეიფში ჯეისონის ანდერძი ინახებოდა. მასში ტერორისტი აცხადებს, რომ სურს, აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპზე შური იძიოს, რადგანაც მან იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### უკრაინელმა ტელეფონი მოიპარა და სელფი მისი პატრონის გვერდზე განათავსა





უკრაინის ქალაქ ოდესაში მამაკაცმა მობილური ტელეფონი გაიტაცა, შემდეგ კი შემთხვევით სელფი ფეისბუქში მოპარული ტელეფონის პატრონის აკაუნტში განათავსა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ფოტოსურათი შემთხვევით აიტვირთა, როდესაც გამტაცებელი დაბლოკილი სმარტფონის გახსნას ცდილობდა. მოგვიანებით მან დაზარალებულის გვერდიდან საკუთარი პორტრეტი წაშალა და მის ნაცვლად გაურკვეველი საგნის ფოტოსურათი ჩატვირთა, თუმცა ტელეფონის პატრონმა ქურდის გამოსახულების პოლიციისთვის გადაგზავნა მოასწრო.

### ამერიკელი საკუთარ დღეგრძელობას ჩიზბურგერს უმადლის



ამერიკის ინდიანის შტატის ქალაქ ნობლსვილის მცხოვრები დოროთი ფლეტჩერი თავისი ასი წლის იუბილეს აღსანიშნავად ემზადება და ამტკიცებს, რომ მისი დღეგრძელობის საიდუმლოს ფასტფუდით რეგულარულად კვება წარმოადგენს.

ქალი პრაქტიკულად ყოველდღე სტუმრობს სწრაფი კვების რესტორანს, სადაც ის ყოველთვის პირბადიანი ქუდითა და იდეალური მანიკიურით ჩნდება. ხანდაზმული ქალბატონი ამტკიცებს, რომ ის ას წლამდე სიცოცხლეს არ აპირებდა და რაიმე განსაკუთრებული წესით ცხოვრების მიმდევარი არ ყოფილა.

ფასტფუდიდან ის უპირატესობას ჩიზბურგერს, კარტოფილ ფრისა და გაზიან სასმელებს ანიჭებს.

ნობლსვილში მდებარე „მაკდონალდსის“ რესტორნის მფლობელმა ფლეტჩერს იუბილეს მის დაწესებულებაში აღნიშვნა შესთავაზა და მას ვიპ-კლიენტის ბარათი აჩუქა. მას იმედი აქვს, რომ მისი ყველაზე ხანდაზმული კლიენტი რესტორანში 20 წლის შემდეგაც მივა.

თავად ფლეტჩერის თქმით, ახალგაზრდობაში საჭმელებს თავად ამზადებდა თავისი შვილებისთვის, მაგრამ ახლა მხოლოდ ყავას იმზადებს, რომელსაც ის შოკოლადს აყოლებს. მის რძალს არ მოსწონს მოხუცებულის ფასტფუდით გატაცება და მას მუდმივად დაატარებს ექიმებთან.

### ჩინელებმა ჯასტინ ბიბერის სახიანი სექსთოჯინა შექმნეს



ჩინეთში დაიწყეს სექსთოჯინას გამოშვება, რომელსაც კანადელი მომღერლის ჯასტინ ბიბერის გარეგნობა აქვს.

თოჯინა თერმოპლასტიკური ელასტომერის – პოლიმერული მასალისგანაა დამზადებული, რომელიც უფრო გამძლეა და რეზინისა და სილიკონის ალტერნატივად გამოიყენება. ის აგებულია ლითონის ჩონჩხზე, რომელიც ერთმანეთთან მოძრავადაა შეერთებული, რაც თოჯინასთვის სხვადასხვა პოზის მიცემის საშუალებას იძლევა.

თოჯინას სიმაღლე 160 სანტიმეტრია (მომღერალი მასზე 15 სანტიმეტრით მაღალია). მისი ყიდვის მსურველს შეუძლია, საკუთარი შეხედულებით შეარჩიოს მისი პენისის სიგრძე. მისი ფასი კი ათასი ფუნტი სტერლინგია.

პროდუქციის გვერდზე, ინტერნეტმაღაზიაში აღნიშნულია, რომ ის გამოდგება როგორც ქალების, ისე მამაკაცებისთვის. მის დასახელებაში ჯასტინ ბიბერი ნახსენები არ არის, თუმცა თოჯინას სახე თავადვე მეტყველებს ყველაფერზე.

### ამერიკელს სიმსუქნე მობეზრდა და 77 კილო დაიკლო





ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ გლენდორის მცხოვრებმა კრის უერტმა ტვიტერში გამოაქვეყნა საკუთარი ფოტოსურათები გადაღებულები გახდომამდე და მას შემდეგ.

ახალგაზრდის თქმით, ზედმეტი წონის თავიდან მოშორება იმ დღეს გადაწყვიტა, როდესაც მისმა საყვარელმა კალათბურთელმა კობი ბრაიანტმა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსიდან“ სპორტული კარიერა დაასრულა და თავის ბოლო მატჩში „იუტა ჯაზის“ წინააღმდეგ 60 ქულა დააგროვა. მაშინ, 2016 წლის აპრილში, 37 წლის ბრაიანტი კალათბურთის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე გახდა, რომელმაც ასეთი შედეგი აჩვენა, ასევე ერთადერთი, რომელმაც გამოსამშვიდობებელი მატჩი ასეთი შთამბეჭდავი შედეგით დაასრულა.

უერტის თქმით, ის ამ მოვლენით აღფრთოვანდა და გადაწყვიტა, საკუთარი თავისთვის მიეხედა. მას ზედმეტმა წონამ თავი მოაბეზრა. იმ დღიდან მოყოლებული, კრისმა წონაში 77 კილოგრამი დაიკლო, კუნთები გაიზარდა და ამტკიცებს, რომ მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს.

სოციალურ ქსელში განთავსებული უერტის ფოტოსურათებმა 18 ათასი მოწონება და 3,76 ათასი გაზიარება მიიღო.

### ბრიტანელი ორმოში ჩახტა და იქიდან ამოსვლაზე უარს ამბობდა

ბრიტანეთის სომერსეტის საგრაფოს ქალაქ ბატის გარეუბანში მცხოვრებმა მამაკაცმა საკუთარ ეზოში ღრმა ორმო ამოთხარა, შემდეგ შიგნით ჩახტა და იქიდან ამოსვლაზე უარს აცხადებდა.



მეზობლის მტკიცებით, მამაკაცი ორმოს რამდენიმე კვირის განმავლობაში თხრიდა. ორი დღის წინ კი მისი სახლიდან ხმაურისა და ყვირილის ხმები ისმოდა. დაახლოებით დილის ოთხ საათზე ის ეზოში გამოვარდა, ყურადღება არ მიუქცევია ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც მის შეჩერებას ცდილობდნენ და ორმოში ჩავიდა.

დაახლოებით დილის შვიდ საათზე შემთხვევის ადგილზე ექსტრემალური სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ. სპეცმანქანების დიდი რაოდენობის გამო ქუჩა გადაიკეტა. მეზობლის მტკიცებით, ორმოსთან ათამდე მაშველი და სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ.

– მათ უხმეს სპეციალისტს, ორმოს თავზე ამწის მსგავსი კონსტრუქცია აღმართეს და შიგნით ჩასვლასა და მამაკაცის ამოყვანას შეეცადნენ, – განაცხადა მეზობელმა.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის თქმით, საბოლოოდ ინციდენტი თავისთავად მოგვარდა. მამაკაცმა ორმოში ჯდომა გადაიფიქრა და იქიდან სხვათა დაუხმარებლად ამოვიდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

**შეიძინეთ წიგნებს!**

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.
- ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66
- ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99
- ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..
- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულსისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ლაშა ტალახაძე წლის საუკეთესო სპორტსმენია

სასტუმრო „ბილტმორში" საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო სესია გაიმართა, რომელსაც ხმის უფლების მქონე 133 დელეგატიდან 107 დელეგატი დაესწრო. სესიის დელეგატთა შორის იყვნენ საქართველოს ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების, სეოკ-ის წევრი სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები.

სესიას ესწრებოდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის უფროსი ვიცე-პრეზიდენტი, უკრაინის ეოკ-ის პრეზიდენტი სერგეი ბუბკა, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, სხვა საპატიო სტუმრები.


ლაშა ტალახაძე

სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა კულტურისა და სპორტის მინისტრად დანიშვნა მიულოცა მიხეილ გიორგაძეს, არჩევნებში გამარჯვება კი – ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების ახალარჩეულ ხელმძღვანელებს.

სხდომის თანაწამყვანმა, სეოკ-ის პირველმა ვიცეპრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა სესიის დელეგატებს შეახსენა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 2016 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ლერი ხაბელოვის ოლიმპიური ორდენით დაჯილდოების შესახებ. მან ასევე განმარტა, რომ სოკ-ის წესების თანახმად, ორდენის ადრესატისთვის გადაცემაზე უფლებამოსილნი არიან მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები და სწორედ ამ საპატიო მისიის შესასრულებლად საქართველოს ეწვია სოკ-ის აღმასკომის წევრი სერგეი ბუბკა.

ბუბკამ ოლიმპიური ორდენი გადასცა და საერთაშორისო აღიარება მიულოცა ლერი ხაბელოვს. სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა გაიხსენა ხაბელოვის სპორტული მიღწევები, ისაუბრა საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში მისი დამსახურების შესახებ.

შემდეგ გაიმართა ოლიმპიური კომიტეტის ვერსიით საქართველოს 2017 წლის საუკეთესო სპორტსმენის, ძალოსნობაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის და რეკორდსმენის, რიოს ოლიმპიადის ჩემპიონის ლაშა ტალახაძის დაჯილდოების ცერემონია. ლაშას სპეციალური პრიზი და ფულადი ჯილდო გადასცა ლერი ხაბელოვმა.

ასევე აღინიშნა ძალოსან ანასტასია გოტფრიდის, მოჭიდავეების – ზურაბ იაკობიშვილისა და გენო პეტრიაშვილის გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჩვენი სხვა სპორტსმენების, მათ შორის ძიუდოისტების, მოფარიკავეების, მოკრივეებისა და კანოისტების მიერ მიღწეული წარმატებები.

სპორტში ქალთა წარმოჩენის საქმეში შეტანილი წვლილისთვის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბატუტზე ხტომაში, საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი რუსუდან ხოფერია.

ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი წვლილისთვის ოლიმპიური მედლებით დაჯილდოვდნენ ნელი სალაძე, რევაზ რობაქიძე და ედიშერ მაჩაიძე.

**ლერი ხაბელოვი:**

– 2017 წელს მართლაც უჩვეულოდ კარგი შედეგებით ვამთავრებთ და ეს არის ძალიან სასიხარულო ამბავი. ჩვენ გვყავს მსოფლიოს 4 ჩემპიონი. ასეთი რამ პირველად ხდება საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში. ასეთი რამ ძალზე იშვიათად თუ მომხდარა შორეულ საბჭოთა ეპოქაშიც. წლები ისე გადიოდა, ერთი ოქრო სანატრელი გვქონდა, დღეს კი ერთბაშად 4 ჩემპიონი გვყავს. ამას დაუმატეთ ლაშა ტალახაძის მსოფლიოს რეკორდები, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

სეოკ-ის ანგარიშთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდნენ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე, ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი მარიამ გიორგობიანი, ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი კონსტანტინე ლაშხი, ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი კახი კახიაშვილი.

სესიის დელეგატებმა ასევე მოისმინეს ინფორმაცია 2018 ზამთრის 33-ე ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მზადების და საქართველოს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების შესახებ.

საოლიმპიადო სამზადისზე ისაუბრა სეოკ-ის ვიცეპრეზიდენტმა მამუკა ხაბარელმა. როგორც აღინიშნა, საქართველო ზამთრის ოლიმპიადაზე 4 სპორტსმენით წარდგება: მორის ყვითელაშვილი (ფიგურული ციგურაობა), ნინო წიკლაური (სამთო თხილამურობა), იასონ აბრამაშვილი (სამთო თხილამურობა) და გიორგი სოლოიანი (ციგაობა).

სესიის დელეგატებს სიტყვით მიმართა საქართველოს კულტურისა და სპორტის ახალდანიშნულმა მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ. მან ისაუბრა სამინისტროს სამომავლო გეგმებზე, სპორტული ორგანიზაციების კონსოლიდირებული მუშაობის აუცილებლობაზე, მასობრივი და დიდი სპორტის შემდგომ განვითარებაზე. მინისტრმა გამოთქვა მზადყოფნა ყურადღებით განიხილოს და გაიზიაროს ოლიმპიური კომიტეტის საქმიანი წინადადებები სპორტში განსახორციელებელ სამომავლო ცვლილებებთან დაკავშირებით.

# ლოკომოტივმა წელი მეორე ადგილით დაასრულა

**ლოკომოტივი-ბათუმი 24:15**

თბილისის ლოკომოტივმა დიდი 10-ის 2017 წლის დასკვნით მატჩში ბათუმი დაამარცხა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილამდე აღზევდა.



ეს იყო მე-5 ტურის შეხვედრა, რომელიც ორჯერ გადაიდო. კონტინენტის ფარზე ნაომარმა ზღვისპირელებმა რამდენიმე ლიდერს დასვენების საშუალება მისცეს. მათი ნაწილი ბრძოლაში მეორე ტაიმში ჩაერთო. ორივე გუნდს ბონუს-ქულის აღების კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ ამით ვერ ისარგებლა.

სათადარიგო მოთამაშეებით მოედანზე გასულ მეტოქესთან ლოკომოტივმა შექმნილი სიტუაციის გამოყენება სცადა და ჯარიმები კარში არ ურტყა. ლელოზე თამაშის ტაქტიკამ შედეგი საწყის 15 წუთში ორჯერ მოიტანა. პირველ ჯერზე გიორგი აფციაურმა მეტოქის 22-ში ჯარიმა სწრაფად გაითამაშა და ლაშა ფოფხაძეს ხაზი გააჭრევინა, ხოლო მეორე ჯერზე რკინიგზელებმა დერეფნიდან მოლი დააყენეს, 5 მეტრი ერთი ამოსუნთქვით დაფარეს და ბურთი დაჩი კოპაძემ დაამიწა. გარდასახვები არაზუსტი იყო – 10:0.

სტუმრებმა ტემპს უმატეს, შეტევებში ფანტაზია ჩართეს და მე-18 წუთზე ვახტანგ ამირანაშვილი რაქში ბურთის შეყოვნებისთვის სინბინით დაისაჯა. დურმიშხან ჯაბნიძემ კარის წინ 24 მეტრიდან 3 ქულა აიღო, 5 წუთში კი, მასპინძლები შეცდნენ და კიდევ 7 ქულა მიიღეს. ჯაბნიძეს ჯარიმა რომ გაუცუდდა ლოკომოტივმა საკუთარი 22-იდან ხელდახელ ცადა შეტევა, მაგრამ ბურთი დაკარგა, გიორგი მენაბდემ მას ფეხი წაჰკრა და ლელოში დაამიწა, ხოლო ჯაბნიძემ გარდასახვით წონასწორობა აღადგინა.

თბილისელებმა დასკვნით 10 წუთში უპირატესობა დაიბრუნეს და 2 ლელო გაიტანეს. პირველ ჯერზე მათი მოლი შოთა გოგისვანიძემ განზრახ ჩააქცია და თავად სინბინით, ხოლო გუნდი საჯარიმო ლელოთი დაისაჯა. 33-ე წუთზე ლაშა გედეხაურმა კარის წინ გაჭრა ხაზი, აფციაურმა და ვახტანგ კავთიძემ ბურთი მარჯვნივ ჩაათამაშეს, ლევან გოგოლაშვილი მცველს ერთი-ერთზე გაექცა და კავთიძემ რთული პოზიციიდან გარდასახა – 24:10.

ასეთ პირობებში ლოკომოტივი ბონუსის მოპოვებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ ბათუმმა მეორე ტაიმში მოედანზე ლიდერები შეიყვანა და თამაშის მსვლელობაში გარდატეხა შეიტანა. მიუხედავად ამისა ანგარიში უცვლელი რჩებოდა და დასკვნითი მეოთხედის წინ რეფერიმ ხვიჩა ბუჯიაშვილს ჯერ ყვითელი, ხოლო რამდენიმე წამში წითელი ბარათი რომ უჩვენა (ჩხუბის პროვოცირებისთვის) თითქოს მასპინძლებს პრემიის აღება აღარ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ ზღვისპირელებმა აღებული ტემპი არ დააგდეს და მალე მოედანზე რიცხობრივი წონასწორობა აღსდგა – კოპაძემ ლელოს სიახლოვეს თამაშის წესები დაარღვია. 3 წუთში სანდრო ქოიავამ დერეფანში მოიგო ბურთი და მოლი 5 ქულით არჩილ ალიქაძემ დაასრულა. ჯაბნიძეს ბათუმელებისთვის ბონუსის დაბევება შეეძლო, თუმცა გარდასახვა ვერ გაიტანა და საბოლოოდ ლოკომოტივმა 24:15 იმარჯვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 10 | 9 | 0 | 1 | 38 |
| 2.ლოკომოტივი | 10 | 8 | 0 | 2 | 37 |
| 3.ლელო | 10 | 8 | 0 | 2 | 36 |
| 4.ჯიქი | 10 | 5 | 1 | 4 | 28 |
| 5.ბათუმი | 10 | 5 | 1 | 4 | 28 |
| 6.ხარები | 10 | 5 | 1 | 4 | 23 |
| 7.აკადემია | 10 | 3 | 0 | 7 | 20 |
| 8.არმაზი | 10 | 2 | 1 | 7 | 15 |
| 9.არმია | 10 | 2 | 0 | 8 | 9 |
| 10.ბაგრატი | 10 | 1 | 0 | 9 | 5 |

# გენერალი შენგელია

თორნიკე შენგელია ევროლიგის მე-14 ტურის საუკეთესო მოთამაშეა, ოღონდ ეს ტიტული ბასკონიის ქართველმა ფორვარდმა მოსკოვის ცსკა-ს ამერიკელ ლეგიონერ კორი ჰიგინსთან გაიყო. ევროლიგის მე-14 ტურს 2 გამორჩეული მოთამაშე ჰყავდა, რომელთა საერთო სარგებლიანობის კოეფიციენტმა 31-ს უწია. ორივე მათგანს ევროლიგამ ტურის მვპ-ის ტიტული უბოძა. სხვათა შორის, მე-13 და მე-10 ტურებსაც 2 საუკეთესო მოთამაშე ჰყავდათ.




შენგელიამ მე-14 ტურში ბარსელონასთან 85:82 მოგებულ მატჩში 29 წუთი ითამაშა და 24 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მოაგროვა. თოკომ 9-დან 5 ორქულიანი, 6-დან 4 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო. ისიც უნდა ვთქვათ, რომ შენგელიამ ორივე საჯარიმო მაშინ ჩააგდო, როდესაც მისი გუნდი 81:82 აგებდა და ბასკონია წინ გაიყვანა.

24 ქულაც და მოგროვებული სარგებლიანობის ინდექსიც (31) შენგელიასთვის ევროლიგაში პირადსარეკორდო გახლდათ.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შენგელიას, რომელიც ბასკონიელთა კაპიტანია, უცხოელმა კომენტატორებმა „ელ კაპიტანო გენერალ" უწოდეს.

ბასკონიელებს 7-7 მოგებ-წაგება აქვთ და ცხრილში მე-9 ადგილზე იმყოფებიან. შემდეგ ტურში შენგელიას გუნდი მოსკოვის ცსკას უმასპინძლებს.

კორი ჰიგინსმა თოკოსთან ერთად საუკეთესოობა ხიმკისთან მოგებულ მატჩში დაიმსახურა. ამერიკელმა მძიმე ფორვარდმა 35 წუთში 26 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. მისმა ინდექსმაც 31-ს უწია.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ევროლიგაში გამართულ 14 ტურში მოგებული 2-2 მვპ-ის ტიტულით 3 კალათბურთელი ლიდერობას – ნანდო დე კოლო (ცსკა), ლუკა დონჩიჩი (რეალი) და ალექსეი შვედი (ხიმკი).

გიორგი შერმადინის უნიკახამ კი მილანს უმასპინძლა და ასევე 3 ქულის სხვაობით – 74:71 გაიმარჯვა.

ქართველმა ცენტრმა მოედანზე 14 წუთი გაატარა და 4 ქულა და 5 მოხსნა (2 შეტევაში) მოაგროვა. შერმადინმა 8-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი და საჯარიმო კი ააცილა.

მალაგელებს 14 ტურის შემდეგ 6 მოგება და 8 მარცხი დაუგროვდათ და მე-10 პოზიციაზე იმყოფებიან, მომდევნო ტურში კი თელ ავივში მაკაბის ესტუმრებიან.

# შედეგები

## 23 დეკემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ევერტონი-ჩელსი ........................ 0:0
ბრაიტონი-უოტფორდი ................ 1:0
სიტი-ბორნმუთი ........................ 4:0
საუთჰემპტონი-ჰადერსფილდი ...... 1:1
სტოკი-ვესტ ბრომვიჩი ................ 3:1
სუონსი-კრ.პალასი ...................... 1:1
ვესტ ჰემი-ნიუკასლი .................... 2:3
ბარნლი-ტოტენჰემი ..................... 0:3
ლესტერი-მანჩესტერი ................. 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 19 | 18 | 1 | 0 | 60-12 | 55 |
| 2.მანჩესტერი | 19 | 13 | 3 | 3 | 41-14 | 42 |
| 3.ჩელსი | 19 | 12 | 3 | 4 | 32-14 | 39 |
| 4.ლივერპული | 19 | 9 | 8 | 2 | 41-23 | 35 |
| 5.ტოტენჰემი | 19 | 10 | 4 | 5 | 34-18 | 34 |
| 6.არსენალი | 19 | 10 | 4 | 5 | 34-23 | 34 |
| 7.ბარნლი | 19 | 9 | 5 | 5 | 16-15 | 32 |
| 8.ლესტერი | 19 | 7 | 6 | 6 | 29-28 | 27 |
| 9.ევერტონი | 19 | 7 | 5 | 7 | 24-30 | 26 |
| 10.უოტფორდი | 19 | 6 | 4 | 9 | 27-34 | 22 |
| 11.ჰადერსფილდი | 19 | 6 | 4 | 9 | 17-31 | 22 |
| 12.ბრაიტონი | 19 | 5 | 6 | 8 | 15-23 | 21 |
| 13.საუთჰემპტონი | 19 | 4 | 7 | 8 | 18-25 | 19 |
| 14.სტოკი | 19 | 5 | 4 | 10 | 22-40 | 19 |
| 15.ნიუკასლი | 19 | 5 | 3 | 11 | 19-29 | 18 |
| 16.კრ.პალასი | 19 | 4 | 6 | 9 | 16-29 | 18 |
| 17.ვესტ ჰემი | 19 | 4 | 5 | 10 | 19-35 | 17 |
| 18.ბორნმუთი | 19 | 4 | 4 | 11 | 15-28 | 16 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 19 | 2 | 8 | 9 | 14-27 | 14 |
| 20.სუონსი | 19 | 3 | 4 | 12 | 11-26 | 13 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბოლტონი-კარდიფი ........................ 2:0
ვულვზი-იფსვიჩი .......................... 1:0
დერბი-მილუოლი .......................... 3:0
ქპრ-ბრისტოლი ............................ 1:1
ლიდსი-ჰალი ................................ 1:0
პრესტონი-ნოტინგემი .................. 1:1
რედინგი-ბარტონი ........................ 1:2
სანდერლენდი-ბირმინგემი ........... 1:1
ფუ;ემი-ბარნსლი .......................... 2:1
უენსდი-მიდლსბრო ..................... 1:2
ასტონ ვილა-შეფილდი ................ 2:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რეალი-ბარსელონა ........................ 0:3
ვალენსია-ვილიარეალი ................. 0:1
დეპორტივო-სელტა ...................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 17 | 14 | 3 | 0 | 45-7 | 45 |
| 2.ატლეტიკო | 17 | 10 | 6 | 1 | 25-8 | 36 |
| 3.ვალენსია | 17 | 10 | 4 | 3 | 36-17 | 34 |
| 4.რეალი | 16 | 9 | 4 | 3 | 30-14 | 31 |
| 5.სევილია | 17 | 9 | 2 | 6 | 20-22 | 29 |
| 6.ვილიარეალი | 17 | 8 | 3 | 6 | 24-20 | 27 |
| 7.ეიბარი | 17 | 7 | 3 | 7 | 22-29 | 24 |
| 8.ხეტაფე | 17 | 6 | 5 | 6 | 22-16 | 23 |
| 9.სოსიედადი | 17 | 6 | 5 | 6 | 31-29 | 23 |
| 10.ხირონა | 17 | 6 | 5 | 6 | 21-26 | 23 |
| 11.სელტა | 17 | 6 | 3 | 8 | 30-25 | 21 |
| 12.ბილბაო | 17 | 5 | 6 | 6 | 18-19 | 21 |
| 13.ლეგანესი | 16 | 6 | 3 | 7 | 12-14 | 21 |
| 14.ბეტისი | 17 | 6 | 3 | 8 | 25-31 | 21 |
| 15.ესპანიოლი | 17 | 5 | 5 | 7 | 14-21 | 20 |
| 16.ლევანტე | 17 | 3 | 9 | 5 | 15-22 | 18 |
| 17.ალავესი | 17 | 5 | 0 | 12 | 13-25 | 15 |
| 18.დეპორტივო | 17 | 4 | 3 | 10 | 19-34 | 15 |
| 19.მალაგა | 17 | 3 | 2 | 12 | 13-31 | 11 |
| 20.ლას პალმასი | 17 | 3 | 2 | 12 | 13-38 | 11 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ხიმნასტიკი-უესკა ........................ 1:2
ოვიედო-ლეონესა ........................ 3:0

**იტალია. სერია ა**

ლაციო-კროტონე .......................... 4:0
ჯენოა-ბენევენტო ........................ 1:0
ნაპოლი-სამპდორია ..................... 3:2
სასუოლო-ინტერი ........................ 1:0
სპალი-ტორინო ........................... 2:2
უდინეზე-ვერონა ......................... 4:0
მილანი-ატალანტა ....................... 0:2
იუვენტუსი-რომა ......................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი1 | 8 | 14 | 3 | 1 | 41-13 | 45 |
| 2.იუვენტუსი | 18 | 14 | 2 | 2 | 45-14 | 44 |
| 3.ინტერი | 18 | 12 | 4 | 2 | 34-14 | 40 |
| 4.რომა | 17 | 12 | 2 | 3 | 28-11 | 38 |
| 5.ლაციო | 17 | 11 | 3 | 3 | 43-22 | 36 |
| 6.სამპდორია | 17 | 8 | 3 | 6 | 32-26 | 27 |
| 7.ატალანტა | 18 | 7 | 6 | 5 | 28-23 | 27 |
| 8.ფიორენტინა | 18 | 7 | 5 | 6 | 27-19 | 26 |
| 9.უდინეზე | 17 | 8 | 0 | 9 | 30-25 | 24 |
| 10.ტორინო | 18 | 5 | 9 | 4 | 25-27 | 24 |
| 11.მილანი | 18 | 7 | 3 | 8 | 23-26 | 24 |
| 12.ბოლონია | 18 | 7 | 3 | 8 | 22-25 | 24 |
| 13.კიევო | 18 | 5 | 6 | 7 | 19-30 | 21 |
| 14.სასუოლო | 18 | 6 | 2 | 10 | 12-28 | 20 |
| 15.ჯენოა | 18 | 4 | 5 | 9 | 15-22 | 17 |
| 16.კალიარი | 18 | 5 | 2 | 11 | 16-29 | 17 |
| 17.სპალი | 18 | 3 | 6 | 9 | 19-31 | 15 |
| 18.კროტონე | 18 | 4 | 3 | 11 | 13-36 | 15 |
| 19.ვერონა | 18 | 3 | 4 | 11 | 17-36 | 13 |
| 20.ბენევენტო | 18 | 0 | 1 | 17 | 9-41 | 1 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ბრედა-უტრეხტი ........................... 3:1
ალკმაარი-ჰერენვენი .................... 3:1
პსვ-ვიტესი .................................. 2:1
ექსელსიორი-ტვენტე ................... 0:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

გიმარაეში-ტონდელა ................... 0:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-რეინჯერსი .............. 2:1
მოზერველი-დანდი ...................... 1:1
პარტიკი-ჰამილტონი .................... 1:0
სელტიკი-აბერდინი ...................... 3:0
სტ.ჯონსონი-ჰართსი .................... 0:0
ჰიბერნიანი-როსი ........................ 2:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

მუსკრონი-ვარეგემი .................... 2:1
გენკი-კორტრაიკი ........................ 2:3
სტანდარდი-სტ.ტრუიდენი ........... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-გენჩლერი ......................... 1:1
სივასი-ბეშიქთაში ........................ 2:1
ქონია-ფენერბახჩე ....................... 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# რამაზ საყვარელიძე: „მარგველაშვილი პარლამენტში უფრო ნაყოფიერი იქნებოდა“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო კანდიდატებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, რამდენად იქნება დაძაბული პოლიტიკური ბატალიები საპრეზიდენტო არჩევნებზე მოსალოდნელი?***

– თუ ქართულ რეალობას გავითვალისწინებთ, სავარაუდოა, რომ მაინც დიდი ბრძოლა იქნება.

***– მიუხედავად საპარლამენტო მოდელისა?***

– დიახ, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი არ განსაზღვრავს და არ წარმართავს ქვეყნის პოლიტიკას. თუმცა, მე არ ველოდები იმ კანდიდატებს, რომელთაც უფრო ქმედითი პოლიტიკა იზიდავს.

***– რატომ, პოლიტიკისთვის ასპარეზი ნაკლებია და იმიტომ?***

– დიახ. ისეთ ახალგაზრდა და ენერგიით სავსე ადამიანსაც კი, როგორიც მარგველაშვილია, ვნახეთ, რომ ვეტოს გარდა სხვა პოლიტიკური შესაძლებლობა თითქმის არ ჰქონდა. დღეს საქართველოში პრეზიდენტობა ხელფეხშეკრულის თანამდებობაა.

***– მარგველაშვილი არ გამორიცხავს, რომ მეორე ვადით იყაროს კენჭი. რას იტყვით მარგველაშვილის პოლიტიკაში დარჩენაზე, მის შანსებზე?***

– მე მივესალმები მარგველაშვილის პოლიტიკაში დარჩენას. მისი დაკარგვა პოლიტიკისთვის დაუშვებელია. ის არის ძლიერი პოლიტიკური ფიგურა და, ვფიქრობ, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ მას ხელ-ფეხი გაეხსნება უკვე რეალური პოლიტიკის საკეთებლად. ჩემთვის, მაგალითად, მარგველაშვილი საპარლამენტო პროცესებში ჩართული, საპარლამენტო პოლიტიკაში ჩართული, სადაც უნდა კეთდებოდეს რეალური პოლიტიკა, უფრო მიმზიდველი იქნებოდა და უფრო ნაყოფიერიც. ამას ვამბობ მისი პოტენციალიდან გამომდინარე. თუმცა, არჩევანი მისი გასაკეთებელია, მეორე ვადით იყრის კენჭს თუ ჩამოაყალიბებს გარკვეულ გუნდს და საპარლამენტო არჩევნებს დაელოდება.

***– პრეზიდენტობის შემდეგ ის პარლამენტში რამდენად შევა, როგორც რიგითი დეპუტატი?***

– საპარლამენტო რესპუბლიკის თავისებურება სწორედ ის გახლავთ, რომ პოლიტიკური რიტორიკისა და პოლიტიკური დებატების გარდა, საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტი აყალიბებს მთავრობას. ამიტომ მე ეს ურიგო ასპარეზი არ მგონია იყოს მარგველაშვილისთვის. თუ უმრავლესობით არა, კოალიციაში შეუძლია შევიდეს და მთავრობის ფორმირებაში მიიღოს მონაწილეობა.

მე მეჩვენება, რომ ამ ასპარეზზე მარგველაშვილის პოტენციალი უფრო სასარგებლო შეიძლება იყოს, მით უფრო, პოლიტიკური სპექტრის ისეთი დეფიციტის პირობებში, როგორიც არის საქართველოში.

***– იყო მოსაზრება, რომ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი შეიძლება იყოს გიორგი კვირიკაშვილი, თუმცა ბოლო დროს განვითარებული მოვლენები რამდენად შეიძლება აისახოს ამ გადაწყვეტილებაზე?***

– ალბათ გულისხმობთ კვირიკაშვილის გამოხატულ ემოციებს, მაგრამ ასეთივე ემოციები ახასიათებდა ღარიბაშვილსაც. თუ დღეს ღარიბაშვილის მხარდამჭერები არიან საქართველოში და არიან სწორედ ამ ნიშიდან გამომდინარე, რომ ის შეურიგებელია ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებით, რომ მისთვის მიუღებელია ნაციონალებთან ერთად პოლიტიკური თამაში, მე არ მგონია, კვირიკაშვილის მიერ გამოვლენილი ემოცია ამ კონტექსტში დაძრახული იყოს.

***– „ქართული ოცნების“ რეალური საპრეზიდენტო კანდიდატი დღეს ღარიბაშვილი უფროა, ვიდრე კვირიკაშვილი?***

– დღეს უკვე გამიჭირდება ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა. ამ კითხვაზე პასუხი გარკვეული მოვლენების შემდეგ ბევრად უფრო ნათელი გახდება. თუმცა, ერთი კია, დღეს კვირიკაშვილი უფრო აქტუალურია, ვიდრე ღარიბაშვილი. ერთი ფაქტორიც შეიძლება აქ დავამატოთ – პრეზიდენტი კონსტიტუციით ძირითადად საგარეო მიმართულებას არ განსაზღვრავს, მაგრამ კურირებს, შესაბამისად, კვირიკაშვილმა საგარეო მიმართულებით, დასავლეთთან მოასწრო, რომ ურთიერთობები აეწყო თავის უცხოელ კოლეგებთან თუნდაც, როდესაც ის საგარეო მინისტრი იყო. ესეც შეიძლება ერთ-ერთი ფაქტორი გახდეს გადაწყვეტილების მიღების დროს.

## ხათუნა ჟორდანია ცეკვის საერთაშორისო კონკურსს აკრიტიკებს



მომღერალი ხათუნა ჟორდანია ძიუდოს აკადემიაში ჩატარებულ ცეკვის საერთაშორისო კონკურსს აკრიტიკებს, რომელშიც მისი შვილი ანასტასია ხაჩიძეც მონაწილეობდა:

– ერთი კვირაა, ჩემი შვილი, ანასტასია, აჟიტირებული და ბედნიერია, რომ ცეკვის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობს. დადგა ის ნანატრი, ჩემთვის დაწყევლილი დღეც. დილის 10 საათზე, როგორც დაგვიბარეს, დარჭობილი ვიყავით ძიუდოს აკადემიაში. დარბაზი სავსე, რა თქმა უნდა, ბავშვებითა და მშობლებით. დაიწყო, მაგრამ ეს რა დაიწყო. როგორ მომწონდა ერთ დროს ჰიპ-ჰოპი, ალბათ არასოდეს მოვუსმენ. დაწყებას და მუსიკას ვინ დაეძებს, 6 საათი გავიდა და ანასტასიას ჯერ არც უცეკვია და არც ველი კიდევ რამდენიმე საათი, რომ აცეკვებენ.

ყოველ გარეთ გასვლაზე, სიგარეტის მოსაწევად, შემოსასვლელში ბილეთის 10 ლარის გადახდას მთხოვენ. ანასტასიას მშიერს, დაღლილსაც აღარ დავეძებ, მოვკვდი პაწაწუნა გოგო-ბიჭების საცოდაობით. გავედი და ვკითხულობ, ვინ არის ამ საშინელი, სადისტური კონკურსის ორგანიზატორი-მეთქი და მერია და ვალენტინა კუზმინაო. რა თქმა უნდა, მერია არ დავიჯერე... სოს, სოს, სოს! უშველეთ ბავშვებს რამე, სანამ დახოცა ვალენტინა კუზმინამ.

## ირაკლი ლომოური დახმარებას ითხოვს



მწერალი მარიამ წიკლაური საზოგადოებას თავისი კოლეგის ირაკლი ლომოურის თხოვნას უზიარებს:

– მეგობრებო, მწერალ ირაკლი ლომოურის თხოვნას ვდებ, იქნებ ვინმეს შეგიძლიათ დახმარება?

„ორშაბათს ან სამშაბათს უნდა გამიკეთონ შუნტირება და გინდა თუ არა, დონორი დაგჭირდებაო. მესამე დადებითი ჯგუფის სისხლი ხომ არ გაქვთ, რომ მიწილადოთ? წინასწარ დიდი მადლობა. რაღაც შეზღუდვებიცაა, ინფორმაციისთვის მსურველებმა დაურეკეთ ჩემს ცოლს, ნანას: 595 59 00 70.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## გიგი ცირამუა და მანანიკო ცენტერაძე ფინალისტები გახდნენ




მუსიკალური შოუ „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

ნახევარფინალურ კონცერტზე მაყურებელმა თავისი ფავორიტები დაასახელა. ლიზა კალანდაძემ, მანანიკო ცენტერაძემ და გიგი ცირამუამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები. კონკურსანტებმა მსოფლიოში ცნობილი ჰიტები შეასრულეს. მათ პარტნიორობას ცნობილი ახალგაზრდა მომღერლები უწევდნენ.

მანანიკო ცენტერაძემ დუეტში დიმა კობეშავიძესთან ერთად იმღერა, ლიზა კალანდაძემ – მარიკო ლეჟავასთან, გიგი ცირამუამ კი – ლევან მასპინძელაშვილთან.

მაყურებლის გადაწყვეტილებით, სულ შევიდა 54.661 ზარი. პირველი ფინალისტი გახდა გიგი ცირამუა, მანანიკო ცენტერაძესა და ლიზა კალანდაძის დუეტში კი ყველაზე ცოტა ხმა ლიზამ მიიღო და პროექტი დატოვა.

ფინალში ერთმანეთს გიგი ცირამუა და მანანიკო ცენტერაძე დაუპირისპირდებიან. ვინ გახდება შოუს „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ გამარჯვებული, ამას მაყურებელი რამდენიმე დღეში შეიტყობს.

„საქართველოს ვარსკვლავის“ გამარჯვებული მომღერალი ლუკა ზაქარიაძე მანანიკო ცენტერაძეს აკრიტიკებს:

– მანანიკო ცენტერაძე და ასე შემდეგ ვერასდროს გახდება პირადად ჩემი კოლეგა. იმღეროს სალონებსა და ევროვიზიებში. მუსიკა სულ სხვა რამეა, ვიდრე ზარებით მოპოვებული სახელი. ხალხიც, იმედია, ხვდება და თუ ვერა, ვიტყვი, რომ ბევრად ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა, რომელიც, დიდი მადლობა, რომ გვიპოვა ამ პროექტმა და მასზე მომუშავე ძალიან მაგარმა ტიპებმა, სამწუხაროდ, დარჩა თამაშგარე. არა უშავს... ბევრი წაგებული მინახავს, ვინც ბოლოს მოგებული დარჩა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

### კალეიდოსკოპი

## მოჩხუბარი კენგურუები ავსტრალიელის მუქარამ გააშველა



ავსტრალიელი მოჩხუბარ კენგურუებს თავს წაადგა და დაემუქრა, რომ ამ ამბავს მათ მშობლებს აცნობებდა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე იქნა განთავსებული.

ვიდეორგოლში კადრს მიღმა მყოფი მამაკაცი ჯერ ფიქრობს, რომ ცხოველებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთს ჩაეხუტონ, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ ისინი ჩხუბობდნენ. თავდაპირველად ის ხუმრობით ახმოვანებს კენგურუების აზრებს, რომლებიც თითქოსდა ქალისთვის ჩხუბობდნენ.

შემდეგ მან გადაწყვიტა ჩხუბი შეეჩერებინა, ცხოველებს მიუახლოვდა და დაიწყო ყვირილი, რომ ის მათ მშობლებს იცნობს და აუცილებლად მოუყვება მათი ჩხუბის შესახებ. კენგურუები ჯერ შეჩერდნენ, მამაკაცს შეხედეს, შემდეგ კი გაიქცნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი



1. უსარგებლო, ზედმეტ ტვირთზე იტყვიან; 2. იტალიური ღვეზელი; 3. ... ჩაპლინი; 4. ხაჭაპურის სახეობა; 5. სოფელი გორის რაიონში; 6. კუდიანი ვარსკვლავი; 7. სიმინდის გამხმარი ღერო და ფოთლები; 8. შინაური ფრინველი; 9. სამეტყველო ორგანო; 10. საგნის კონტური; 11. მუხის ნაყოფი; 12. ლარი; 13. ჩეხური ავტომარკა; 14. გოეთეს დრამა; 15. ... ბოლდუინი; 16. ... სინიორე; 17. მილიუტინის ოპერეტა; 18. ქალბატონი (ინგლისურად); 19. ... კორო; 20. ... ბუაჩიძე; 21. ... უძიაკუ (იაპონელი მწერალი); 22. სამოსქვეშა არე გულმკერდთან; 23. სოფელი რაჭაში; 24. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 25. ფეთქებადი ნივთიერება; 26. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 27. გაზაფხულის თვე; 28. მზის სისტემის პლანეტა; 29. ბოლო ნოტი; 30. რძეში მოხარშული ცომის ნაჭრები; 31. ზოლას რომანი; 32. ვაგონების სადგომი; 33. ნაბიჯი ბალეტში; 34. ხორციანი კორკოტი; 35. იუპიტერის თანამგზავრი; 36. ლორნეტი.

## ასტროპროგნოზი 25 დეკემბერი



**ვერძი** – კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის, დიდია მოტყუების ალბათობა. ენერგია დაზოგეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. ცდუნებას ნუ აჰყვებით. **კურო** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ტყუპები** – არაკეთილისმყოფელი, მძიმე დღეა. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საღამო ბუნებაში გაატარეთ. **კირჩხიბი** – კრიტიკული დღეა. სულიერ წონასწორობას უსიამოვნო ინფორმაცია დაგირღვევთ. თუმცა ეს მოდუნების საშუალებას არ მოგცემთ. სიტუაციას თამამი და გონივრული გადაწყვეტილების მეშვეობით გამოასწორებთ. **ლომი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **ქალწული** – კარგი დღეა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნაცნობობის წრის გაფართოება თქვენი წარმატების საწინდარია. **სასწორი** – წინააღმდეგობრივი დღეა. განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის. თქვენი მომხიბვლელობა გარშემომყოფების აღფრთოვანებასა და სიმპათიას იწვევს. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. დღეს უმართლებთ თეატრის სფეროში მომუშავეებს. მსხვილი შენაძენისგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ და ბოლომდე მიიყვანეთ. სასიყვარულო ურთიერთობებში ინტუიციას მიენდეთ. **თხის რქა** – საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. მეგობრები ფინანსურად დაგეხმარებიან. გართობა რეკომენდებულია ზომიერების ფარგლებში. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **თევზები** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი

**შვეულად:** 1. ბარამბო; 2. ბრიჯი; 3. მეტაფორა; 4. სედანი; 5. კატრანი; 6. რეფორმა; 11. ჟიური; 13. ტრაპეზი; 14. პომოლოგია; 15. მაკედონია; 17. ლეგატი; 18. კრუპიე; 19. ლელა.

**თარაზულად:** 7. ჩაქურა; 8. ფენერბახჩე; 9. საუნჯე; 10. ტალავერი; 12. ვოლტიჟიორი; 14. პრიზმა; 16. კლიასერი; 18. კომუნიკე; 20. რუბლი; 21. ოდა; 22. ზარზუელა; 23. ჯინი; 24. სამტრედია.

# ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს მონაწილეობის საკითხი ისევ გაურკვეველია



მწერლების, პოეტების, მთარგმნელებისა და გამომცემლების აზრით, 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარდგენა საფრთხის ქვეშ დადგა. ამის მიზეზი ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორისა და ამ პროექტის ხელმძღვანელის დეა მეტრეველის მიერ დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით მინისტრის სახელზე დაწერილი განცხადება გახდა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ავტორები, მთარგმნელები და გამომცემლები კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილს შეხვდნენ. შეხვედრის შემდეგ მწერალმა ლაშა ბუღაძემ გააკეთა განცხადება, რომ მანანა ბერიკაშვილი ამ საქმეს ჩამოშორდება:

– ძალიან ემოციური და გულწრფელი შეხვედრა იყო. ვფიქრობ, ყველანი საერთო პასუხისმგებლობიდან გამოვედით, რომ ეს არის ისტორიული მნიშვნელობა, ფრანკფურტის ბაზრობაზე, ამ ვეებერთელა პლატფორმაზე, არა მხოლოდ ლიტერატურა, არამედ მთლიანად საქართველო წარდგეს. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ ჩართულობას ამ პროცესში, რადგან ეს ყველა ჩვენგანს ეხება. კონკრეტული შედეგის სახით, შეგვიძლია გითხრათ, რომ ქალბატონი მანანა ბერიკაშვილი გავიდა პროექტიდან. წიგნის ეროვნული ცენტრი კვლავ გააგრძელებს თანამედროვე ევროპული მენეჯმენტის სახით მუშაობას.

ლაშა ბუღაძის განცხადების საპასუხოდ კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ განაცხადა, რომ „საქმე ისე არ არის, როგორც აგორდა სოციალურ მედიაში“:

– ყველაზე მთავარია ამ მომენტისთვის, რომ ჭორებსა და ბრალდებებს დაესვას წერტილი. გაირკვა, რომ საქმე ისე არ არის, როგორც აგორდა სოციალურ მედიაში. ორშაბათს კიდევ ერთხელ დავაზუსტებთ ყველა მხარის მოვალეობებს ამ პროექტში, რომ არ იყოს სხვადასხვა ინტერპრეტაცია. არ შემიძლია, ჩემი წუხილი არ გამოვთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საქმის ვითარებაში ჩაუხედავად აკეთებენ განცხადებებს და ბრალდებებს აყენებენ ფანტასტიკის დონიდან. ქალბატონი მანანას გადაწყვეტილება ემოციურ ფონზე იყო გაკეთებული. უსამართლო ბრალდებები გაისმა მის მიმართ. ორშაბათს, როცა კიდევ ერთხელ დავაზუსტებთ, წერტილი დაესმება ამ საკითხს. მანანა ბერიკაშვილის გასვლა პროექტიდან წარმოუდგენელია. ის ბევრ მიმართულებაშია ჩართული. მწერლებმა ქალბატონი მანანას ემოციური განცხადების საფუძველზე გააკეთეს განცხადება. მოგვეცით დრო, რომ დავაზუსტოთ ორშაბათს ეს საკითხი. კონკრეტული შეთავაზება გავაკეთე, მომავალში ასეთი გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით შეიქმნას ჯგუფი, რომელსაც ყოველდღიური წვდომა ექნება მზადების დეტალთან, რომ ინფორმაცია იყოს გამჭვირვალე და ჭორები აღარ ვრცელდებოდეს.

მსახიობ გიორგი გასვიანს მიაჩნია, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს ღირსეულად წარდგენა ქვეყნის პრესტიჟის საკითხია:

– წიგნის ბაზრობის ორგანიზება თუ ასეთი წარმატებით ტარდებოდა აქამდე, მაშინ ჩნდება შეკითხვა, რატომ ჩამოაცილეს კულტურის სამინისტროს შემოქმედებით ჯგუფს, რომელიც ქვეყანას წარმოაჩენდა მაღალ ხარისხში ეს კარგი საქმე, მანანა ბერიკაშვილი, დავით დოიაშვილი, თამრიკო კვესიტაძე, ნინო ნახუცრიშვილი. ახლა წიგნის ცენტრმა უნდა გააკეთოსო და ბევრი გყავთ ასეთი შემოქმედებითი ჯგუფი? ქვეყნის იმიჯზეა საუბარი, ქვეყნის, რომელსაც საზღვარგარეთ იცნობენ, როგორც ქურდებისა და ყაჩაღების სამშობლოს!

# ირაკლი ნოზაძე: „ვილოცოთ უწმინდესისთვის“



25 დეკემბერს 40 წელი სრულდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრებიდან.

ამ დღესთან დაკავშირებით „ქუჩის ბიჭების“ წევრი ირაკლი ნოზაძე თხოვნას ავრცელებს:

– ორშაბათს არის ისტორიული დღე. ქართული ეკლესიის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, პატრიარქი ყოფილიყო 40 წელი. სულ მალე საოცარი მოვლენის მომსწრენი გავხდებით თითოეული ჩვენგანი. უწმინდესი მუდამ მოგვიწოდებს ერთად ლოცვისთვის. აი, ორშაბათს კი ჩვენ, მთელი ერი გავერთიანდეთ პატრიარქის გარშემო. დღის 12 საათზე, სადაც არ უნდა ვიყოთ, რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, ყველანი გავჩერდეთ და ვილოცოთ უწმინდესისთვის: „მადლობა, უფალო, უწმინდესის მომადლებისთვის, კვლავაც მიეცი წელთა სიმრავლე.“ ვინც შეძლებს, დაანთოს ერთი სანთელიც, გვწამს, რომ ერთად ლოცვა ყველაზე მეტად შეეწევა ჩვენს საოცარ პატრიარქს. არ დაიზაროთ, გაუზიარეთ ეს პოსტი მეგობრებს და ყველას უთხარით: ნათესავს, ახლობელს, თანამშრომელს, მრევლს, არამრევლს, შეყვარებულს, ძმაკაცს... ყველას ყველას. ერთად ვილოცოთ. ლოცვა იყოს მადლიერი ერის სულიერი საჩუქარი პატრიარქისთვის.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## დალი ჩიკვაიძის მონატრება



ჩემო დალი! ხუთი თვე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. გაუსაძლისია ჩემთვის ამ ტკივილის მოშუშება. ვერანაირი დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილსა და თავზარდაცემას, რასაც უშენობა ჰქვია. დრო გადის, ტკივილი არ ცხრება. დრო მკურნალიაო, მაგრამ, რაც დრო გადის, მწუხარება და ტკივილი უფრო მირთულდება. ასე დამწუხრებული ვიქნები სიცოცხლის ბოლო წუთამდე. მენატრება შენი სახე, ღიმილი, ხმა.

ეს ხუთი თვე გაუსაძლისია ჩემთვის. თურმე რა ბედნიერი ვყოფილვარ, შენ გვერდში რომ ვიყავი. კარგია, რომ ვერ ხედავ ჩემს ყოველწამიერ ტანჯვას. შენ რომ იცოდე ჩემი გაუსაძლისი მდგომარეობა, მეორედ გაგისკდებოდა გული.

უშენობას ვერანაირად ვეგუები. სულ შენს მოლოდინში ვარ. კარი რომ გაიღება, შენ მგონიხარ. ვიხსენებ შენთან გატარებულ წლებს, თვეებს, დღეებსა და წუთებსაც კი. თურმე რა უბედნიერესი ვყოფილვარ.

25 დეკემბერი შენი დაბადების დღეა, რომელსაც უშენოდ აღვნიშნავთ არა საზეიმოდ, არამედ მგლოვიარებით.

ვის რა ვუთხრა, ვინ გამიგებს ისე, შენ რომ მიგებდი. შეგვეძლო, ყველა საკითხზე გვემსჯელა. შენ იყავი ჩემი მესაიდუმლე. შენი მოულოდნელი წასვლით გამანადგურე. იშვიათია ისეთი კეთილშობილი და ზნეობრივი თვისებებით შემკული ქალი, როგორიც შენ იყავი: თბილი, წყნარი, დინჯი, აუჩქარებელი, საიმედო მეგობარი, თანამშრომლებსა და ოჯახზე გადაყოლილი, მზრუნველი, შესანიშნავი დიასახლისი, სტუმართმოყვარე.

ყველას გვენატრება შენი სათნო ღიმილი. გვაკლიხარ, გვიმძიმს უშენობა – განსაკუთრებით მოულოდნელად მიტოვებულ უბედურ მეუღლეს.

დიდია უშენობით გამოწვეული მწუხარება და ტკივილი. ვიდრე ცოცხალი ვიქნები, დრო შენს სიყვარულს არ გამიქარვებს. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ვერასოდეს დავივიწყებ ისე მოულოდნელად დაფერფლილ შენს ლამაზ სიცოცხლეს. იმის გაფიქრებაც კი შემზარავია, რომ ჩემ გვერდით აღარ ხარ.

ჩემი გული, ჩემო უსაყვარლესო დალი, მკვდარია უშენოდ. ყოველდღე მოვდივარ შენს საფლავზე მათთან ერთად, ვისაც უყვარდი და დღესაც უყვარხარ, ცრემლითა და ყვავილებით, სანთელ-საკმევლით. ვეფერები შენს მოღიმარ სურათს და ვამბობ – ნათელში ამყოფოს შენი სული სამუდამო სასუფეველში. უსაზღვროდ გვიყვარხარ, გვენატრები, გვაკლიხარ!

*შენი გარდაცვალებით დამწუხრებული და დატანჯული*
*შენი მეუღლე ომარ ჩიკვაიძე ოჯახთან ერთად*

## სვეტლანა ქეცბა



აფხაზეთის საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება გამოაკლდა – გარდაიცვალა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე, საქართველოსა და აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს „წმიდა გიორგის ოქროს ორდენისა“ და ღირსების ორდენის კავალერი სვეტლანა ქეცბა.

სვეტლანა ქეცბა დაიბადა 1933 წლის 17 ოქტომბერს ქ. სოხუმში. 1953 წ. დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებელი, ხოლო 1958 წელს – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია წითელ დიპლომზე მუსიკისმცოდნის კვალიფიკაციით.

1958 წლიდან მუშაობდა სოხუმის პირველ საბავშვო სამუსიკო სკოლაში ჯერ მასწავლებლად, ხოლო შემდეგ დირექტორად; 1974 წლიდან – სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორად.

1992 -2004 წწ. იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი, ხოლო 1996-2004 წწ. -საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე.

2004-2006 წწ. მუშაობდა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 2006 წლიდან იყო აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე.

1971 წლიდან არაერთხელ იყო არჩეული აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ, იყო საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის, ხოლო შემდეგ – პრეზიდიუმის წევრი.

2000 წლიდან იყო ასოციაციის „ქალები ბავშვებისა და ახალგაზრდობის მომავლისათვის“ პრეზიდენტი.

გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები აფხაზური და ქართული სამუსიკო ხელოვნების საკითხებზე, არის მრავალი სტატიის ავტორი, შემდგენელი და რედაქტორი აფხაზ კომპოზიტორთა ნაწარმოებებისა და აფხაზური ხალხური სიმღერების კრებულებისა.

2012 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის კურთხევით, იყო პროექტის ავტორი და შემდგენელი კრებულისა „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“. 2016 წ. გამოიცა მისი წერილების, ჩანაწერებისა და მოგონებების კრებული „გულის სახსოვარი – აფხაზურ-ქართული ურთიერთობები“.

სვეტლანა ქეცბა დაჯილდოებული იყო აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების საპატიო სიგელებით, მინიჭებული ჰქონდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია, ღირსების ორდენი, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო „წმიდა გიორგის ოქროს ორდენი“, იყო კავკასიის ხალხების მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

ქალბატონი სვეტლანა ქეცბა აფხაზეთის ტრაგედიის დროს უყოყმანოდ დადგა იმ პოზიციაზე, რომელიც მისი ერის გადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენდა. მრავალი ტკივილის ატანა მოუხდა მას ამ ეკლიან გზაზე, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე არ უღალატია საკუთარი პრინციპებისათვის. იგი უანგაროდ ემსახურებოდა სამშობლოს, სწამდა აფხაზი და ქართველი ხალხის საუკუნოვანი მეგობრობისა და რუდუნებით იღვწოდა იმ სანუკვარი მიზნის მისაღწევად, რომელსაც აფხაზეთში დაბრუნება და აფხაზეთის დაბრუნება ჰქვია.

„პრობლემის სასწრაფოდ მოგვარება – ეს ადამიანთა ხსნის საკითხია და, რაც უფრო გაჭიანურდება, მით უფრო გამწვავდება პრობლემა ყველაზე ძვირფასი პოტენციალის – ადამიანურობის შენარჩუნებისა...“ – წერდა ქალბატონი სვეტლანა ერთ-ერთ წერილში. „გადის წლები, მაგრამ ვერ მოვახერხე წარსულთან გამიჯვნა, საკუთარ გულში მშობლიური ადგილებისა და საყვარელი ადამიანების გამო სევდის ჩახშობა...“ – ესეც მისი სიტყვებია და ამ სევდით გადაინაცვლა მისმა სულმა მარადისობაში.

უფალმა დაუმკვიდროს საუკუნო სასუფეველი!

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა!

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა*
*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**ორშაბათი 25 დეკემბერი**

**07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **08.50** ანიმაცია. "ალბი" თოვლის კაცუნა" **09.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.30** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **10.00** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის" ილია II-ს აღსაყდრების **40** წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო წირვა-ლოცვა (პ/ტრ. სვეტიცხოვლიდან) **13.25, 22.15** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **14.30** დოკ/ფ "ავტოდახმარება" **15.30, 06.15** დოკ/ფ " უძველესი სამყაროები" **16.30, 05.15** ტ/სერ. "**ველვეტი**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **23.15** დოკ/ფ "თოფგიარი" **00.15** მხ/ფ "**ჯერი მაგუაიერი**" (ტ.კრუზი) **02.30** "პირადი ექიმი" **03.30** მხ/ფ "**კრამერი კრამერის წინააღმდეგ**" (მ.სტრიპი)

**06.30** სერ. "**ფიცი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **10.10, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **7** სერ. **18.30** გათამაშება "კრისტალ ბეთი" **18.50, 19.03** სერ. "**დარჩი ჩემთან**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** ნიჭიერი **23.00** დოკ/ფ "ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა - საქართველო" **00.15** მხ/ფ "**როცა ჰარი შეხვდა სალის**" **01.45** მხ/ფ "**ლუმის ფარგოს ძარცვა**" **03.30** მხ/ფ "**რეკრუტი**" **05.10** მხ/ფ "**ზღვისპირა ქალაქი**"

**06.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**მორჩილების სავანე**" **22.00** ჩემი სამზარეულოს წესები **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

**tv პირველი** **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** ხალხის პოლიტიკა **23.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

**08.00** ან/ფ "ავატარი **2**" **09.00, 19.00** სერ. "**ჯაშუში**" **11.00** მხ/ფ "**წმინდანი**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 4**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები 7**" **21.00** სერ. "**ელ პრინსიპე**" **1** სერ. **22.30** მხ/ფ "**ოლიმპოს დაცემა**" **01.00** მხ/ფ "**დაცემულნი**" **03.15** მხ/ფ "**პრესტიჟი**" **05.35** მხ/ფ "**შეთქმულების ისტორია**"

**08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40,** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 3.40** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. " **პირადი საქმე**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** პანორამა **00.00** მხ/ფ " **იუტლანდიის პრინცი**"

**06.10** თვენი "დეკანოზი ბიძინა გუნია-კალენდრის შესახებ" **07.10** პატერიკი-სარწმუნოების გამო ცოდვათა მიტევების შესახებ **07.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** საგალობელი **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** საკვირაო სახარების განმარტება **10.35** დ/ფ "ველური ბუნება-ტყის აკრობატები " **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**დიმიტრი** II" **13.40** ან/ფ "კონკია" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** ჩვენი ფონდი "მეუფე ანანია-საქართველოს პატრიარქის შესახებ" **15.55** კონცერტი **16.20** დ/ფ "რწმენის აღორძინება" **18.10** დ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.25** "განთიადის" (განმეორებითი ჩვენება) **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ძილი ნებისა "წმინდა ნინო" **21.25** წმინდანები "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარი სპირიდონ ტრიმიფუნტელი" **21.45** საეკლესიო აღმშენებლობა "თხოთის წმინდა ნინოს და კასპის წმინდა მეფე ვახტანგის სახ.ტაძრები" **22.15** ჩვენი ფონდი "ელდარ ბუბულაშვილი–წმინდა სინოდი" **22.30** მარადიული აწყმო (პატრიარქის ბიოგრაფია) **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** აქტუალური თემა "სიკვდილი–მცირე ხნით განშორება" **23.45** ღვთის სახლი **00.30** საუბარი სტუდიაში **01.30** კონცერტი

**მაესტრო** **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 დეკემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.5342 |
| ევრო | — 3.0030 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.3908 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.3486 |

## ამინდის პროგნოზი 25 დეკემბრისთვის







## 28 დეკემბრიდან
## ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოც ბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას, ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

**ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი**

## 15 დეკემბრიდან
## რჩეული ქართული ზღაპრები




**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## იუმორი

•••

მასწავლებელმა მოსწავლის მამა დაიბარა. სკოლაში მისულ მშობელს აღშფოთებული ეუბნება:

– თქვენმა შვილმა გაკვეთილზე, როდესაც „კაკო ყაჩაღიდან" ეპიზოდს ვკითხულობდი: „მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი", მომაძახა: „უხ, რა კარგი სახმარი იქნებოდი".

მამამ მასწავლებელი კარგად შეათვალიერა, მერე კი შვილს თავში წაუთაქა:

– ახლა რა, ცუდია, მე შენი...

•••

აფთიაქში მსუქანი ქალი შევიდა, თან ხელში ფუნთუშა უჭირავს და გამყიდველს მიმართავს:

– იაფი და ეფექტური გასახდომი საშუალება რა გაქვთ?

– პლასტირი, ქალბატონო, ძალიან ეფექტურია.

– მართლა? და სად უნდა მივიკრა?

– პირზე, ქალბატონო, პირზე!

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მიდი, ფეხები დაიბანე, საცაა ახალი წელი მოვა.

– დედაკაცო, რა ხშირად მოდის ეს ახალი წელი, ჰაა?

•••

ლომი ტყის ბილიკთან გუბეში წევს. ამ დროს კურდღელი გამოივლის და ეკითხება:

– ნადირთ მბრძანებელო, მზეთამზევ და უბრწყინვალესო, ამ გუბეში რატომ ისვენებთ?

– ეჰ, ჩემო ყურცქვიტავ, უკანა ფეხები ხაფანგში მაქვს გაბმული და ვეღარ ვინძრევი.

– მეც არა ვთქვი, ეს შობელძაღლი, ამ ტალახიან წუმპეში რას კოტრიალობს-მეთქი?!

•••

ოსი ექიმს ეუბნება:

– სენი წილიმე, ლაგაც უნდა გაცვენო და ალ გაიცინო, ლა!

სიტყვას გაძლევ, რომ არ გამეცინება.

ოსმა შარვალი ჩაიხადა და თავისი ძალიან პატარა სიმდიდრე აჩვენა.

ექიმმა თავი ვეღარ შეიკავა და ახარხარდა. ბოლოს, როგორც იქნა, დამშვიდდა და აშკარად განაწყენებულ ოსს ეკითხება:

– და რა გაწუხებთ?

– გამისივდა, სენი წილიმე!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




## მანანა შეროზიას თვალის კლინიკა

ულოცავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს დაბადების 85-ე და აღსაყდრების მე-40 წლისთავს, უსურვებს მას ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას!

თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №3
(ყოფილი შეროზიას ქუჩა, მეტრო „მარჯანიშვილთან")
ტელ.: 295 98 98; მობ.: 593 31 00 30; 593 94 86 26
E-mail: eyeclinicsherozia@gmail.com

